პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 241 (5342) | ხუთშაბათი, 20 ოქტომბერი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში:

ხაბაროვსკის მშრომელთა მისალმება ამხანაგ სტალინისადმი (1-ლი გვ.)
ხაბაროვსკის მშრომელთა მისალმება ამხანაგ ვოროშილოვისადმი (1-ლი გვ.)
ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის სუბტროპიკულ კულტურების სექციის მესამე პლენუმის მისალმება ამხანაგ სტალინისადმი (1-ლი გვ.)
ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად-საკავშირო სასოფლო - სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის სუბტროპიკულ კულტურების სექციის მესამე პლენუმის მისალმება ამხანაგ ბერიასადმი (1-ლი გვ.)
დებულებანი მედლების შესახებ (1-ლი გვ.)
საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოში (მე-2 გვ.)
ტარას შევჩენკოს დაბადებიდან 125 წლისთავისათვის (მე-3 გვ.)
ექიმთა ახალი კადრები (მე-4 გვ.).
უცხოეთში:
გერმანიის ახალი მოთხოვნები ჩეხოსლოვაკიის მიმართ (მე-4 გვერდი)
ბერლინის ალმაშფოთებელი ინსტრუქციები ჩეხოსლოვაკიის მთავრობას (მე-4 გვ.)
ამხანაგ კაშენის ღია წერილი დალადიესადმი (მე-4 გვ.)
ამერიკელი მოსამართლეების ზნეჩვეულებანი (მე-4 გვ.)

მოსკოვი, კრემლი

ხალხთა ბელადს დიდ სტალინს

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელობის სრულიად - საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის სექციის გამსვლელი პლენუმი, რომელიც შეიკრიბა ქალაქ ბათუმში, მზიური საქართველოს სუბტროპიკების ცენტრში, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმომადგენელთა, სუბტროპიკული რაიონებისა და სამეცნიერო ორგანიზაციების სპეციალისტთა მონაწილეობით, მხურვალე სალამს გიძღვნით თქვენ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ.

ჩვენი პლენუმის მუშაობა მთლიანად მიმდინარეობდა საქართველოს სს რესპუბლიკის — საბჭოების ქვეყნის ამ მარგალიტის—სუბტროპიკული კულტურების განვითარების შესახებ თქვენ მიერ მოცემულ მითითებათა განხორციელების შემოწმების ნიშნით.

მთელი ჩვენი პრაქტიკული მუშაობა და მეცნიერული აზროვნება მიმართულია საბჭოთა სუბტროპიკების უმდიდრესი ბუნების, უდიდეს შესაძლებლობათა შემდგომი კიდევ უფრო სწრაფი და სწორი გამოყენებისაკენ, რაც საშუალებას გვაძლევს უზრუნველვყოთ ჩვენი სამშობლოს მშრომელთა მოთხოვნილება ციტრუსებზე, სუბტროპიკულ ნაყოფზე, ჩაიზე, აგრეთვე ჩვენი მრეწველობის მოთხოვნილება ეთეროვან და სპეციალურ ზეთებზე.

უკანასკნელი 5-6 წლის განმავლობაში საბჭოთა სუბტროპიკულმა მეურნეობამ უმაგალითო წარმატებებს მიაღწია. პარტიულმა და არაპარტიულმა ბოლშევიკებმა — საბჭოთა სუბტროპიკების მუშაკებმა და პირველ რიგში მათმა მოწინავე რაზმმა — საქართველოს პარტიულმა და არაპარტიულმა ბოლშევიკებმა,—თქვენი მითითებებითა და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მთავრობის ყოველდღიური დახმარებით აღფრთოვანებულებმა, შექმნეს მძლავრი, მოწინავე აგროტექნიკით შეიარაღებული სუბტროპიკული მეურნეობა.

ათობით ჩაის, ციტრუსების, ტუნგოსა და გერანის საბჭოთა მეურნეობებს, ასობით კოლმეურნეობებს მოჰყავთ წელს 35 ათასი ტონა ჩაი, ასობით მილიონი ციტრუსოვანი ნაყოფი, ეთეროვანი და ტუნგოს ზეთი, რამის ბოჭკო და სხვა ძვირფასი პროდუქტები.

მოწინავე მეცნიერების შესახებ, მოწინავე მეცნიერების ადამიანთა შესახებ თქვენი ისტორიული სიტყვებით აღფრთოვანებულნი, მთელს ჩვენს ცოდნასა და ძალას მოვახმართ იმას, რომ მოწინავე მეცნიერებით შევაიარაღოთ სუბტროპიკული მეურნეობის პრაქტიკოსები.

ჩვენ მომავალშიაც აღგვაფრთოვანებს ჩვენს მუშაობაში ჩვენი სამშობლოს საუკეთესო ადამიანების, სოციალისტური შრომისა და მეცნიერების გმირთა და გმირ ქალთა—სტახანოველთა, პაპანინელთა საგმირო საქმეები. ჩვენ გაბედულად და გადაჭრით გავკაფავთ მეცნიერებისა და ტექნიკის ახალ გზებს, დავეყრდნობით სუბტროპიკული საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების საუკეთესო სტახანოველთა, ჩვენი სამეცნიერო ინსტიტუტების სტახანოველთა გამოცდილებას და მივაღწევთ საბჭოთა სუბტროპიკების გადაქცევას მსოფლიოში ყველაზე მოწინავე სუბტროპიკულ მეურნეობად.

სიცოცხლე და დღეგრძელობა ჩვენს სახელოვან ბოლშევიკურ პარტიას და მძლავრ საბჭოთა მთავრობას!

სიცოცხლე და დღეგრძელობა ჩვენს მშობლიურ მამასა და მასწავლებელს, ხალხთა ბელადს დიდ სტალინს!

ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის სუბტროპიკული კულტურების სექციის გამსვლელი პლენუმის მისალმება

ამხანაგ ლ. პ. ბერიას

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელობის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის სუბტროპიკული კულტურების სექციის გამსვლელი პლენუმი, შეიკრიბა რა ქალაქ ბათუმში სამეცნიერო ორგანიზაციების, სუბტროპიკული რაიონების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმომადგენლებთან ერთად სუბტროპიკული კულტურების განვითარების უმნიშვნელოვანესი საკითხების განსახილველად, მოგესალმებათ თქვენ — სტალინის ერთგულ მოწაფეს, ორდენოსანი საბჭოთა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ბოლშევიკურ ორგანიზატორს.

თქვენ დაუღალავად გვეხმარებოდით და გვეხმარებით ჩვენ, მეცნიერების ადამიანებს, და დიდი სტალინის მითითებების შესაბამისად წარმართავთ მუშაობას იმ მხრივ, რომ საბჭოთა სუბტროპიკები გადაიქცეს საბჭოთა კავშირის ნამდვილ მარგალიტად.

მეცნიერების მოწინავეებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სტახანოველებს, სუბტროპიკული რაიონების სპეციალისტებს ახსოვთ და ისინი აფასებენ იმ მზრუნველობას, იმ ყურადღებას, რომლებსაც თქვენ იჩენდით ჩაისა და ციტრუსოვანთა მეურნეობის განვითარების ისტორიული ხუთწლედების განხორციელებაში, ვერანის, ტუნგოს და სხვა ძვირფასი სუბტროპიკული კულტურების განვითარების საქმეში.

ჩვენი მუშაობა მთლიანად და სავსებით გამსჭვალულია სურვილით განვახორციელოთ ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ისტორიული მითითება გაბედულად წინსვლის შესახებ, მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი გზების გაკაფვის შესახებ, მოწინავე მეცნიერების შესახებ, მეცნიერების მოწინავე ადამიანთა შესახებ.

ჩვენი პლენუმის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ჩვენი ციტრუსების, ჩაის, ტუნგოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოწინავენი—სტახანოველები, სუბტროპიკული კულტურების დარგში ცდებზე მომუშავენი, რომლებმაც მეცნიერების ადამიანებთან და მოწინავე სპეციალისტებთან ერთად შემოიტანეს საკმაოდ ბევრი ძვირფასი წინადადება, მიმართული სუბტროპიკული კულტურების აგროტექნიკისა და ტექნოლოგიის შემდგომი გაუმჯობესებისაკენ.

ჩვენი პლენუმის მუშაობაში ჩვენ ფართოდ გამოვიყენეთ თქვენი რჩევა-დარიგება და მითითებანი სუბტროპიკული მეურნეობის საკითხებზე.

გამოვთქვამთ რწმენას, რომ თქვენ შემდეგშიაც წინანდებურად დაუთმობთ ყურადღებას ჩაისა და ციტრუსების მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეს.

გისურვებთ თქვენ, ძვირფასო ლავრენტი პავლეს-ძევ, ახალ და კიდევ მეტ წარმატებებს თქვენს მუშაობაში, ლენინ-სტალინის დიადი საქმისათვის ბრძოლაში.

სასოფლო-სამეურნეო აკადემიის სუბტროპიკულ კულტურათა სექციის პლენუმი

18 ოქტომბრის სხდომა

ბათუმი, (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.). 18 ოქტომბრის დილის სხდომაზე პლენუმმა მოისმინა **სმოლსკის, კოჟინის, ხუციშვილისა** და **გუტიევის** თანამოხსენებები ტუნგოს კულტურის შესახებ. ამ საკითხზე გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს პროფესორებმა **ტიულინმა, კვარაცხელიამ** და **სელიანინოვმა.** კამათში გამოვიდნენ აგრეთვე მეცნიერ მუშაკები **ტარაუ, კონსტანტინოვი, მხეიძე, გორდეზიანი, ზალდასტანიშვილი, ყანჩაველი** და აგრეთვე საქ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. **საჯაია.** ამხ. საჯაიამ აღნიშნა ის უდიდესი მიღწევები, რაც სუბტროპიკული კულტურების დარგში მოპოვებულია საქართველოში, კერძოდ კი აჭარაში დიდი **სტალინის** მითითებათა ურყევად განხორციელებით, ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** ხელმძღვანელობითა და დახმარებით.

პლენუმმა განხილული საკითხების ირგვლივ ღონისძიებების შემმუშავებელი კომისიების გამოყოფის შემდეგ, მქუხარე ტაშის ცემით და ვაშას ძახილით მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა ხალხთა საყვარელ ბელადს დიდ **სტალინს** და მის საუკეთესო მოწაფეს ამხანაგ **ლავრენტი ბერიას.**

19 ოქტომბრის საღამოს სხდომა

19 ოქტომბერს საღამოს პლენუმმა მიიღო პრაქტიკული ღონისძიებანი მოსმენილ მოხსენებათა გარშემო ჩაის, ციტრუსებისა და ტუნგოს კულტურათა შემდგომი განვითარებისათვის. ამავე სხდომაზე პლენუმმა მოისმინა აკადემიკოს **კრენკეს** მოხსენება „მცენარის ციკლური დაბერებისა და გაახალგაზრდავების თეორია“.

აკადემიკოსმა **ვავილოვმა** შეაჯამა ვ. ი. **ლენინის** სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის სუბტროპიკულ კულტურათა სექციის მესამე პლენუმის მუშაობა და ამით პლენუმი დაიხურა.

20 ოქტომბერს დილით აკადემიკოსები **ვავილოვი, შმუკი, რიხტერი, კრენკე** და პლენუმის სხვა წევრები გაემგზავრებიან ჩაქვში ჩაის მრეწველობისა და სუბტროპიკულ კულტურათა სრულიად - საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფილიალის მუშაობის გასაცნობად.

ხაბაროვსკის მშრომელთა მისალმება ამხანაგ სტალინისადმი

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ სტალინს

ჩვენ, ქალაქ ხაბაროვსკის მშრომელები—მუშები, მუშა-ქალები, მოსამსახურენი, საბჭოთა ინტელიგენცია, ხაბაროვსკის გარნიზონის მებრძოლები, მეთაურები და პოლიტმუშაკები, შევიკრიბენით რა საერთო-საქალაქო მიტინგზე, რომელიც გამართული იყო თვითმფრინავ „როდინას“ გმირული ეკიპაჟის—ამხ. ვალენტინა გრიზოდუბოვას, პოლინა ოსიპენკოსა და მარინა რასკოვას შესახვედრად, გიძღვნით თქვენ, ჩვენო მშობლიურო მამავ და მასწავლებელო, მგზნებარე ბოლშევიკურ სალამს!

უდიდესი სიხარულით ვხვდებით ჩვენ დღეს ჩვენი მშვენიერი სამშობლოს გმირ ქალიშვილებს, რომელნიც აღზრდილნი არიან ლენინ-სტალინის დიადი პარტიის მიერ, გამოზრდილნი არიან თქვენი მამობრივი მზრუნველობით.

თქვენი სახელი, ამხანაგო სტალინ, აღაფრთოვანებს ჩვენი დიადი სამშობლოს ერთგულ ვაჟებსა და ქალიშვილებს ახალი გმირობისათვის.

თქვენი სახელით გულში ჰაერის გმირმა ქალებმა შეასრულეს ძირდაუშვებელი გადაფრენა მოსკოვი—შორეული აღმოსავლეთი, ჩასწერეს რა კიდევ ერთი გმირული ფურცელი ჩვენი საბჭოთა ავიაციის ისტორიაში.

ამ შესანიშნავმა გადაფრენამ ერთხელ კიდევ უჩვენა მთელს მსოფლიოს ჩვენი საბჭოთა ხალხის ერთიანობა, ჩვენი დიადი სამშობლოს შეურყეველი ძალა.

მთელს საბჭოთა ხალხთან ერთად ჩვენ ვამაყობთ თვითმფრინავ „როდინას“ სახელოვანი ეკიპაჟის უმაგალითო მამაცობით, გამბედაობით და ფრენის მაღალი ოსტატობით. მსოფლიოში არც ერთი მფრინავი არ არის გარემოცული ისეთი ყოველდღიური მამობრივი მზრუნველობით, როგორც ჩვენს ქვეყანაში.

მხოლოდ სოციალიზმის ქვეყანაში, სადაც საბჭოთა ქალების წინაშე გახსნილია ყველა გზა მეცნიერებისა და ტექნიკის მწვერვალებისაკენ, შესაძლებელია ასეთი გმირული გადაფრენები.

ჩვენი ქვეყანა გმირების ქვეყანაა.

არ არის იმაზე მეტი ბედნიერება, ვიდრე ცხოვრობდე და მუშაობდე სტალინურ ეპოქაში!

თვითმფრინავ „როდინას“ სახელოვანი ეკიპაჟის გმირული გადაფრენით აღფრთოვანებულნი, ჩვენ, შორეულ-აღმოსავლეთის მშრომელები, წითელდროშოვანი არმიების მებრძოლები, მეთაურები და პოლიტმუშაკები, სიტყვას გაძლევთ თქვენ, ამხანაგო სტალინ, რომ კიდევ უფრო განვამტკიცებთ ჩვენი სახელოვანი ავიაციის ძლიერებას, ჩვენი მშვენიერი სამშობლოს და წყნარ ოკეანეზე მისი ფორპოსტის—ჩვენი მშვენიერი შორეული აღმოსავლეთის თავდაცვისუნარიანობას.

სახელი და დიდება საბჭოთა ხალხის გმირ ქალიშვილებს, ბოლშევიკური პარტიის სახელოვან მოწაფეებს!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად უძლეველ პარტიას!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ მამას და მასწავლებელს დიდ სტალინს!

მიღებულია 1938 წლის 17 ოქტომბერს ქალაქ ხაბაროვსკის მშრომელთა საერთო-საქალაქო მიტინგზე. მიტინგს დაესწრო 100 ათასზე მეტი კაცი.

ხაბაროვსკის მშრომელთა მისალმება ამხანაგ ვოროშილოვისადმი

ჩვენ, ქალაქ ხაბაროვსკის მშრომელები, წითელდროშოვანი არმიების მებრძოლები, მეთაურები და პოლიტმუშაკები დღეს დიდ, უდიდეს სიხარულს განვიცდით: ჩვენ ვეგებებით „როდინას“ გმირულ ეკიპაჟს—ჩვენი დიადი საბჭოთა ხალხის გაბედულ და უშიშარ ქალიშვილებს.

მამაცებმა და თავდადებულებმა, კომუნისტური პარტიისა და ამხანაგ სტალინის მიერ აღზრდილებმა, თავისი უშიშარი გმირობით სოციალიზმის ქვეყნის ძლიერების ძალისა და უძლეველობის ხახელოვან მატიანეში კიდევ ერთი ფურცელი ჩასწერეს.

ვალენტინა გრიზოდუბოვამ, პოლინა ოსიპენკომ და მარინა რასკოვამ—ამ სტალინურმა შევარდნებმა—ერთხელ კიდევ უჩვენეს მთელს მსოფლიოს, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ თავისუფალ და თანასწორუფლებიან საბჭოთა ქალებს. და ასეთ ქალებს ჩვენ სამართლიანად ვუწოდებთ გმირ ქალებს და ვამაყობთ ასეთი ქალებით.

მრისხანე საფრთხის დროს, თუ იაპონელი სამურაები კვლავ შეეცდებიან თავს დაესხან საბჭოთა ქვეყანას—ათობით, ასობით და ათასობით გმირები აფრინდებიან ჰაერში და მძლავრ მრისხანე თვითმფრინავებს წაიყვანენ აყვავებული შორეული აღმოსავლეთის საზღვრებისაკენ. მთელი მრავალმილიონიანი ხალხი ურღვევ რკინის კედლად აღსდგება ჩვენი სამშობლოს წმინდათა-წმინდა საზღვრების დასაცავად. მტერი დამარცხებული და განადგურებული იქნება ისე, როგორც ის დამარცხებულ და განდევნილ იქნა ჩვენი ძვირფასი მიწა-წყლიდან ხასანის ტბასთან მომხდარი ამბების დროს.

შორეულ აღმოსავლეთის მშრომელები, წითელდროშოვანი არმიების მებრძოლები, მეთაურები და პოლიტმუშაკები სიტყვას გაძლევენ თქვენ, ძვირფასო ამხანაგო ვოროშილოვ, რომ ისინი პარტიისა და მთავრობის და თქვენი, თავდაცვის რკინის სახალხო კომისრის, პირველი დაძახებისთანავე ჩადგებიან მტერთან აქტიურ მებრძოლთა რიგებში, თუ მტერი შეეცდება დაგვესხას თავს.

ჩვენი მშვენიერი სამშობლოსათვის, ჩვენი მშობლიური და მახლობელი შორეული აღმოსავლეთისათვის შევწირავთ მთელს ჩვენს ძალებს და, თუ საჭირო იქნება, სიცოცხლესაც!

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან გმირ ქალებს—ამხანაგ გრიზოდუბოვას, ოსიპენკოსა და რასკოვას!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიას, რომელმაც აღზარდა ასეთი გმირები!

გაუმარჯოს მძლავრს, უძლეველ მუშურ-გლეხურ წითელ არმიას და მის სტალინურ რკინის სახკომს ამხანაგ ვოროშილოვს!

გაუმარჯოს ჩვენს მეგობარს, მამასა და მასწავლებელს—მშობლიურ ამხანაგ სტალინს!

მიღებულია 1938 წლის 17 ოქტომბერს ქალაქ ხაბაროვსკის მშრომელთა საერთო-საქალაქო მიტინგზე. მიტინგს დაესწრო 100 ათასზე მეტი კაცი.

გმირი მფრინავი ქალები ხაბაროვსკის აქტივის კრებაზე

ხაბაროვსკი, 17 ოქტომბერი (საკდესი). 17 ოქტომბერს საღამოს გმირი მფრინავი-ქალები ამხ. გრიზოდუბოვა, ოსიპენკო და რასკოვა შეხვდნენ ხაბაროვსკის პარტიულ და საბჭოთა აქტივს და მე-2 ცალკეული წითელდროშოვანი არმიის წარმომადგენლებს. როდესაც მფრინავი-ქალები ოლქის ხელმძღვანელთა თანხლებით გამოჩნდნენ პრეზიდიუმის მაგიდასთან, დარბაზში შეკრებილებმა მქუხარე ოვაცია გაუმართეს მათ.

როდესაც საპატიო პრეზიდიუმის არჩევის დროს კრებამ დაასახელა სოციალისტურ გამარჯვებათა სულისჩამდგმელის, მშრომელთა ბელადის, დიდი სტალინის სახელი და მისი სახელოვანი თანამებრძოლნი, დარბაზმა მქუხარე და ხანგრძლივი ოვაცია გამართა.

— რა კარგი და რა სასიხარულოა იმ ქვეყანაში ცხოვრება, სადაც ყოველი მოქალაქე უყვარს მთელს ხალხს, — სთქვა კრებაზე გამოსულმა ვალენტინა გრიზოდუბოვამ. დიადი საქმეებისათვის ჩვენ ყველას აღგვაფრთოვანებს ჩვენი სტალინი. საბჭოთა მოქალაქეები თავის ძალღონეს სწირავენ თავის ქვეყანას, რათა რაც შეიძლება მძლავრი იქნეს იგი — ჩვენი დიადი სამშობლო. აი ჩვენ, რიგითი საბჭოთა მფრინავებმა, შევასრულეთ დავალება. ჩვენ მზადა ვართ მომავალშიც შევასრულოთ პარტიისა და მთავრობის ყოველგვარი დავალება.

ვალენტინა გრიზოდუბოვა მოუთხრობს კრებას თავისი გადაფრენისა და თავისი შესანიშნავი ამხანაგების — ოსიპენკოსა და რასკოვას შესახებ. გულმხურვალედ და გულთბილად ლაპარაკობს იგი იმ ადამიანების შესახებ, რომელნიც დაეხმარნენ მათ. აი მათს გვერდით მაგიდასთან სხედან პილოტი ამხ. სახაროვი, ექიმი ამხ. ტიხონოვი, კაპიტანი ამხ. პოლეჟაევი. დარბაზში შეკრებილნი გულმხურვალედ ეგებებიან სამოქალაქო ავიაციის მფრინავის, ამხ. სახაროვის გამოსვლას, რომელმაც თვითმფრინავი აღმოაჩინა:

— დიდს, მხურვალე სალამს ვუძღვნი — ლაპარაკობს იგი,—შორეული აღმოსავლეთის სამოქალაქო პილოტების სახელით ამხ. ვალენტინა გრიზოდუბოვას, პოლინა ოსიპენკოსა და მარინა რასკოვას.

და ამხ. სახაროვი უამბობს, თუ როგორ ჩაატარა მან თვითმფრინავის ძებნა.

ამხ. სახაროვის შემდეგ გამოვიდა ხასანის ტბის ბრძოლების მონაწილე, ათასეულის კომისარი ამხ. ბუზანოვი. გმირულ ეკიპაჟს ხაბაროვსკის მუშა-ქალების სახელით მხურვალე სალამი გადასცა ამხ. ლიტვინოვმა.

ტაშის გრიალსა და „ინტერნაციონალის“ გუგუნში მიღებულ იქნა მისალმებანი ამხანაგების სტალინისა და ვოროშილოვისადმი.

მიტინგის ტრანსლაცია ხაბაროვსკიდან

ვლადივოსტოკი, 17 ოქტომბერი (საკდესი). დღეს ვლადივოსტოკის მშრომელები დიდი ინტერესით ისმენდნენ ხაბაროვსკის მიტინგის რადიოგადაცემას, რაც მიძღვნილი იყო ჩვენი ქვეყნის გმირი მფრინავი ქალების ამხ. გრიზოდუბოვას, ოსიპენკოსა და რასკოვასთან შეხვედრისადმი. ქუჩებში რეპროდუქტორებთან შეიკრიბა მრავალი ხალხი, რომელიც გმირი მფრინავი ქალების გამოსვლებს დიდი სიხარულითა და ენტუზიაზმით შეხვდა.

მარინა რასკოვას ნაამბობი

ხაბაროვსკის გარნიზონის ერთეულების მიტინგზე

ხაბაროვსკი, 18 ოქტომბერი (საკდესის სპეცკორი). ხაბაროვსკის მშრომელთა სიყვარულით და ზრუნვით გარემოცული გმირი მფრინავი ქალები — ამხ. გრიზოდუბოვა, ოსიპენკო და რასკოვა ისვენებენ მოსკოვს წასვლის წინ.

დღეს მფრინავი ქალები დაესწრნენ ხაბაროვსკის გარნიზონის ერთეულების მრავალრიცხოვან მიტინგს. მებრძოლები, მეთაურები, პოლიტმუშაკები და უფროსთა შემადგენლობის ოჯახები განსაკუთრებული ყურადღებით ისმენდნენ შტურმან მარინა რასკოვას საოცრად სადა მოთხრობას.

ლაპარაკობს რა თავის თავგადასავალზე, მარინა რასკოვა პოულობს საკმაოდ ბევრ სახუმარო, მჭერმეტყველურ სიტყვას, რაც მის მოთხრობას კიდევ უფრო ამაღელვებელს ხდის.

— კაპიტანი პოლეჟაევი, რომელიც პირველი ჩამოხტა თვითმფრინავის ძირდაშვების ადგილას, — ამბობს ამხ. რასკოვა, — ემზადებოდა იმისათვის, რათა დაშვებისთანავე წარმოეთქვა საზეიმო სიტყვა. ნაცვლად ამისა, აი რა სურათი მივიღეთ. პირველმა კაპიტან პოლეჟაევთან მიირბინა კაპიტანმა პოლინა ოსიპენკომ. არავითარი საზეიმო სიტყვა აღარ მოხერხდა. ორივენი ერთმანეთს მივარდნენ, გადაჰკოცნეს ერთმანეთი და დაიწყეს ტირილი ისე, როგორც ახლობელნი ნათესავები სტირიან შეხვედრისას ერთმანეთისაგან დიდი ხნის განშორების შემდეგ.

რასკოვას შემდეგ გამოვიდნენ მფრინავი სახაროვი, ლეიტენანტი კატულინი და სხვები.

○

შემდეგ მფრინავები წავიდნენ ტელეგრაფში თვითმფრინავ „როდინას“ გადაფრენის მომწყობ მთავრობის კომისიასთან მოსალაპარაკებლად.

თვითმფრინავ „როდინას“ შტურმანი, უფროსი ლეიტენანტი, ორდენოსანი მ. მ. რასკოვა და მე-2 პილოტი, კაპიტანი - ორდენოსანი პ. დ. ოსიპენკო
„სოიუზფოტოს“ საქ. განყ.

დებულება მედლისა „საბრძოლო დამსახურებისათვის“

1. „საბრძოლო დამსახურებისათვის“ მედლით დაჯილდოვდებიან მუშურ - გლეხური წითელი არმიის, სამხედრო - საზღვაო ფლოტისა და სანაპირო დაცვის ჯარის რიგითი, მეთაურთა და უფროსთა შემადგენლობის სამხედრო მოსამსახურენი და აგრეთვე ის პირნი, რომელნიც მუშურ - გლეხური წითელი არმიის, სამხედრო - საზღვაო ფლოტისა და სანაპირო დაცვის ჯარების რიგებში არ ირიცხებიან, მაგრამ რომლებმაც საბჭოთა სახელმწიფოს მტრებთან ბრძოლაში თავისი მოხერხებული, ინიციატივური და გაბედული მოქმედებით, რაც სახიფათო იყო მათი სიცოცხლისათვის, ხელი შეუწყეს სამარი მოქმედების წარმატებას ფრონტზე.

2. მედლით დაჯილდოება ხდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ.

3. მედლით დაჯილდოებულთ სახელმწიფოს ხარჯზე ეძლევათ 5 მანეთი თვეში. ფულს გასცემენ შემნახველი სალაროები.

4. მედლით დაჯილდოებულნი პირადად სარგებლობენ სსრ კავშირის ყველა ქალაქის ტრამვაებში უფასო მგზავრობის უფლებით.

5. მედალს ატარებენ მკერდის მარცხენა მხარეს.

6. მედლის ტარება სავალდებულოა პარადების, რევოლუციური დღესასწაულებისა და საზეიმო სხდომების დროს.

7. მედლის ჩამორთმევა ხდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ.

8. მედლით დაჯილდოებულებმა უნდა ატარონ ის ღირსეულად და სახელმწიფო ვალდებულებათა შესრულების დროს კეთილსინდისიერებისა და წესიერების მაგალითი უნდა უჩვენონ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე გ. პეტროვსკი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი
1938 წ. 17 ოქტომბერი.

დებულება მედლისა „მამაცობისათვის“

1. მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოვდებიან მუშურ - გლეხური წითელი არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და სანაპირო დაცვის ჯარების რიგითი, მეთაურთა და უფროსთა შემადგენლობის სამხედრო მოსამსახურენი პირადი გამბედაობისა და მამაცობისათვის საბჭოთა კავშირის მტრებთან ბრძოლებში ბრძოლის ველზე, სახელმწიფო საზღვრების ხელუხლებლობის დაცვის დროს, ან დივერსანტებთან, ჯაშუშებთან და საბჭოთა სახელმწიფოს სხვა მტრებთან ბრძოლის დროს.

2. მედლით დაჯილდოება ხდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ.

3. მედლით დაჯილდოებულებს სახელმწიფოს ხარჯზე ეძლევათ 10 მანეთი თვეში. ფულს გასცემენ შემნახველი სალაროები.

4. მედლით დაჯილდოებულნი პირადად სარგებლობენ სსრ კავშირის ყველა ქალაქის ტრამვაებში უფასოდ მგზავრობის უფლებით.

5. მედალს ატარებენ მკერდის მარცხენა მხარეს.

6. მედლის ტარება სავალდებულოა პარადების, რევოლუციური დღესასწაულებისა და საზეიმო სხდომების დროს.

7. მედლის ჩამორთმევა ხდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ.

8. მედლით დაჯილდოებულნი უნდა იძლეოდნენ გულადობის, გამბედაობის და მამაცობის პირად მაგალითს საბჭოთა სახელმწიფოს მტრებთან ბრძოლაში და მაგალითი უნდა იყვნენ სხვა მოქალაქეებისათვის სახელმწიფო მოვალეობათა შესრულების დროს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე გ. პეტროვსკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი
1938 წ. 17 ოქტომბერი.

მოკლე აღწერა მედლებისა „მამაცობისა“ და „საბრძოლო დამსახურებისათვის“

მედალს „მამაცობისათვის“ აქვს სწორი წრის ფორმა, 37-მილიმეტრიანი დიამეტრით. მედლის ზედაპირი ორივე მხარეს ბრწყინვალეა. წინაპირის ზედა ნაწილში გამოსახულია სამი ერთიმეორის მიმყოლი თვითმფრინავი, მათ ქვეშ არის წარწერა „მამაცობისათვის“. წარწერის ქვეშ გამოსახულია ტანკი, ხოლო კიდევ უფრო ქვევით მოთავსებულია წარწერა „სსრკ“.

მედალს „საბრძოლო დამსახურებისათვის“ აქვს სწორი წრის ფორმა, 31-მილიმეტრიანი დიამეტრით. მედლის ზედაპირი ორივე მხარეს ბრწყინვალეა. წინაპირზე წრის ზედა ხაზის გასწვრივ არის წარწერა „სსრკ“. წინაპირის შუა ადგილას არის წარწერა „საბრძოლო დამსახურებისათვის“. უფრო ქვემოთ გამოსახულია ხმლით გადაჯვარედინებული შაშხანა.

ორივე მედალი „მამაცობისა“ და „საბრძოლო დამსახურებისათვის“ ვერცხლისაა.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პლენუმი

19 ოქტომბერს შინსახკომის კლუბში შესდგა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის მორიგი პლენუმი. პლენუმის დღის წესრიგის პირველ საკითხზე— საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის სწავლებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ — ვრცელი და შინაარსიანი მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი ამხ. **მ. ბარამია.**

ამხ. მ. ბარამიას მოხსენების ირგვლივ სიტყვებით გამოვიდნენ ამხ. **ე. ფოფხაძე** (თბილისის სას.-სამ. ინსტიტუტი), **თ. რაზმაძე** (თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა), **ა. ბაჯიევი** („ზარია ვოსტოკა“), და სხვ.

შემდეგ პლენუმმა მოისმინა თბილისის რადიო-ტელეგრაფის ქარხნის პარტკომის მდივნის ამხ. **ბარსეგოვის** და საქ. სსრ ჯანსახკომის პარტკომის მდივნის ამხ. **ფოცხიშვილის** საანგარიშო მოხსენებანი მათი მუშაობის შესახებ.

პლენუმს ესწრებოდნენ: საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივნები, ამხანაგები **კ. ჩარკვიანი** და **კ. შეროზია,** საქ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ვ. ბაქრაძე** და თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. **ს. იშხანოვი.**

პლენუმის მორიგი სხდომა შესდგება დღეს, 20 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში

1938 წლის 14 ოქტომბერს, ამხ. ვ. მ. ბაქრაძის თავმჯდომარეობით შესდგა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სხდომა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ განიხილა საკითხი **1938 წლის მოსავლის კარტოფილის დამზადების რაიონებიდან მოხმარების ადგილებზე გადაზიდვის შესახებ.**

დამზადების რაიონებიდან მოხმარების ადგილებზე 1938 წლის მოსავლის კარტოფილის თავის დროზე გადაზიდვისა და საზამთროდ შენახვისათვის კარტოფილის ჩაყრის გეგმის სრული უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ დაავალა დამამზადებელ და მოვაჭრე ორგანიზაციებს: სპეცვაჭრობას, თბილვაჭრობას, საქკონსერვხილტრესტს, ცეკავშირს, „ტრანსტორგპიტს", საზოგადოებრივი კვების ტრესტს, სამხედრო ვაჭრობას, „სოიუზპროდმაგს", საქვაჭრობას და საქკურორტმარაგვაჭრობას მოაწყონ კარტოფილის თავის დროზე გადაზიდვა დამზადების რაიონებიდან რკინიგზის სადგურებთან, შეზიდვა ქალაქ თბილისსა და მოხმარების სხვა პუნქტებში. სახკომსაბჭომ წინადადება მისცა ზემოაღნიშნულ ორგანიზაციებს საჭირო რაოდენობით, გამოჰყონ და მიამაგრონ რაიონებს ავტომანქანები და სხვა ტრანსპორტი კარტოფილის თავის დროზე გამოზიდვისათვის.

სახკომსაბჭომ დაავალა „სოიუზსოვხოზტრანს" გამოჰყოს გორისა და ბათუმის ავტობრიგადიდან 52 ავტომანქანა კარტოფილის გამოსაზიდად ახალციხის, ახალქალაქისა და ბაშკიჩეთის რაიონებიდან. გარდა ამისა, „სელხოზტრანს" წინადადება მიეცა გამოჰყოს 37 ტონანახევრიანი ავტომანქანა და საქტრანსსარეწკავშირს — 19 ავტომანქანა კარტოფილის გამოსაზიდად წალკის, აღბულაღის, ადიგენისა და ასპინძის რაიონებიდან.

სახკომსაბჭომ დაავალა საქართველოს სსრ ვაჭრობის სახკომისარიატს ერთი დღის ვადაში გადასცეს „სოიუზსოვხოზტრანს", „სელხოზტრანს" და საქტრანსსარეწკავშირს იმ მოვაჭრე ორგანიზაციების სია, რომლებიც გამოზიდვას ანხორციელებენ, ხელშეკრულებათა დასადებად კარტოფილის გადაზიდვაზე, ხოლო „სოიუზსოვხოზტრანს" (ამხ. სტეფანოვს), „სელხოზტრანს" (ამხ. მგალობლიშვილს) და საქტრანსსარეწკავშირს (ამხ. აბაიშვილს) ორი დღის განმავლობაში დასდონ ხელშეკრულებები გადაზიდვაზე და შეუდგნენ კარტოფილის გამოზიდვას.

სახკომსაბჭომ დაავალა აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს 5 დღის ვადაში განიხილონ და დაამტკიცონ ღონისძიებანი კარტოფილის გამოსაზიდად შორეული პუნქტებიდან მოხმარების ადგილებზე აჭარაში (947 ტონა) და აფხაზეთში (784 ტონა).

შორეული პუნქტებიდან გამოზიდვათა რიგისობის მოწესრიგებისა და სადგურ ბორჯომიდან მოხმარების ადგილებზე გადმოგზავნისათვის, ავტოტრანსპორტისა და ვაგონების რაციონალური გამოყენებისათვის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ სადგურ ბორჯომში საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს რწმუნებულად დანიშნა ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ხუმაროვი. ამავე მიზნით საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს რწმუნებულად აღბულაღის, წალკის, ბაშკიჩეთისა და საგარეჯოს (გომბორი) რაიონებში დანიშნა ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილე — ამხ. ნუენიაკოვი.

სახკომსაბჭომ დამზადებათა მთელი დროის განმავლობაში და კარტოფილის გამოზიდვის დამთავრებამდე რაიონებს მიამაგრა რესპუბლიკური ორგანიზაციების პასუხისმგებელი მუშაკები.

საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ გააფრთხილა საქართველოს სს რესპუბლიკის ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, მოვაჭრე და სატრანსპორტო ორგანიზაციები, რომ მათ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმისათვის, რათა თავისდროულად და ზუსტად მოაწყონ ყველა სამუშაო კარტოფილის გამოზიდვისა, ჩაყრისა და შენახვისათვის, ვიდრე სიცივე დაიწყებოდეს.

სახკომსაბჭომ განიხილა **ტყის ხანძრებთან ბრძოლის** საკითხი. ტყის ხანძართა თავიდან აცილებისა და მათთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით, საქართველოს სს რესპუბლიკის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატსა და ჯანსახკომის საკურორტო სამმართველოს წინადადება მიეცათ გაშალონ სახანძრო პროფილაქტიკური და მასობრივ-ახსნაგანმარტებითი მუშაობა ტყიანი რაიონების მოსახლეობაში, გამოიყენონ ამისათვის პრესა და რადიო, გააცნონ მოსახლეობას ტყის ხანძრებთან ბრძოლის სადირექტივო მითითებანი და მიაღწიონ იმას, რომ მოსახლეობამ დაიცვას ხანძრის საწინააღმდეგო რეჟიმი ტყეებში. სახკომსაბჭომ დაავალა საქართველოს სს რესპუბლიკის რაიაღმასკომთა თავმჯდომარეებს, შინსახკომის სახანძრო დაცვის ორგანოთა წარმომადგენლებს და სატყეო მეურნეობათა დირექტორებს ადგილებზე, რომელნიც ტყის ხანძართა თავიდან აცილებისა და მათთან ბრძოლის სამეულთა ხელმძღვანელები არიან, ერთი თვის ვადაში გაატარონ ღონისძიებანი, რომლებიც სამეულებს დაკისრებული აქვთ საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს 1938 წლის 28 ივნისის № 924 დადგენილებით.

სახკომსაბჭომ წინადადება მისცა საქართველოს სს რესპუბლიკის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატსა და ჯანსახკომის საკურორტო სამმართველოს დაამთავრონ ტყესაკაფთა გაწმენდა საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს 1938 წლის 31 ივლისის დადგენილებით გათვალისწინებულ ვადაში.

იმ მიზნით, რომ კონტროლი გაეწიოს და შემოწმებულ იქნას სატყეო მეურნეობათა მუშაობა ხანძრებისაგან ტყეების დაცვის მხრივ, სახკომსაბჭომ წინადადება მისცა საქართველოს სს რესპუბლიკის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს მოახდინოს ტყის დაცვის არსებული ჯგუფის რეორგანიზაცია და აუცილებლად შეიყვანოს ამ ჯგუფში სახანძრო დაცვის სპეციალისტი და 1939 წლისათვის გაითვალისწინოს ტყის დაცვის ინსპექტორები თვითეულ სატყეო მეურნეობაში.

ჯანსახკომის საკურორტო სამმართველოს სატყეო განყოფილებაში აღდგენილ იქნას და ჰყავდეთ სახანძრო სპეციალისტი და 1939 წლისათვის არსებული შტატიდან თვითეულ სატყეო მეურნეობაში გამოიყოს ტყეთა სახანძრო დაცვის ინსპექტორი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ მოისმინა საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული მთავარი საგზაო სამმართველოს უფროსის ამხ. ცაგურიას მოხსენება რესპუბლიკური მნიშვნელობის **გზათა მშენებლობისა და რემონტის გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.**

საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ აღნიშნა მნიშვნელოვანი ჩამორჩენა რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზათა რემონტისა და მშენებლობის გეგმის შესრულებაში. 1938 წლის 9 თვის განმავლობაში რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზათა რემონტის წლიური გეგმა შესრულებულია 57,8 პროცენტით, ქვის საფარიან ახალ გზათა მშენებლობის გეგმა—49,2 პროცენტით, ახალი ხიდების მშენებლობისა—56,4 პროცენტით. განსაკუთრებით დიდ ჩამორჩენას გზათა რემონტის საქმეში ადგილი აქვს აჭარის ასს რესპუბლიკაში—გეგმა შესრულებულია 21,4 პროცენტით, თბილისის რაიონში—11 პროცენტით, დუშეთის რაიონში—30,5 პროცენტით, აღბულაღის რაიონში—36,1 პროცენტით და გორის რაიონში—51,9 პროცენტით; სატიტულო სიით გათვალისწინებული ხიდების მშენებლობის დარგში გეგმა ასპინძის რაიონში შესრულებულია 21,4 პროცენტით, კასპის რაიონში—30 პროცენტით, წალენჯიხის რაიონში—47,3 პროცენტით და ყარაიის რაიონში — 59,1 პროცენტით.

სახკომსაბჭომ განსაკუთრებით აღნიშნა სრულიად დაუშვებელი მდგომარეობა გზათა რემონტისა და მშენებლობის საქმეში სოფლის მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის გამოყენების მხრივ. შრომითი მონაწილეობის წლიური გეგმა საქართველოს სს რესპუბლიკაში 1938 წლის 9 თვის განმავლობაში შესრულებულია 67,4 პროცენტით. განსაკუთრებით სამარცხვინო მაჩვენებლები მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის გამოყენების საქმეში აქვთ: ბორჩალოს რაიონს—13,7 პროცენტი, ბაშკიჩეთის რაიონს — 19,3 პროცენტი, ბაღდათისას—29,4 პროცენტი, ყარაიისას—38,2 პროც., ლუქსემბურგისას — 31,3 პროც., თიანეთისას—18,2 პროც., ჩოხატაურისას—17,5 პროც., ონისას—47,2 პროც., ცაგერისას—36 პროცენტი და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქს—41,9 პროცენტი.

სამუშაოთა ასეთი არადამაკმაყოფილებელი მიმდინარეობა გზებისა და ხიდების რემონტისა და მშენებლობის დარგში და აგრეთვე მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის გამოყენების საქმეში წარმოადგენს იმის შედეგს, რომ რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეები და განსაკუთრებით კი ამ უკანასკნელთა საგზაო განყოფილებები უყურადღებოდ ეპყრობიან ამ საქმეს და რომ ჯერ კიდევ არასაკმარისია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მთავარი საგზაო სამმართველოს მუშაობა.

რესპუბლიკური მნიშვნელობის გზათა მშენებლობისა და რემონტის გეგმის უაღრესად სწრაფი შესრულებისათვის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ დაავალა საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ მთავარ საგზაო სამმართველოს (ამხ. ცაგურიას) შეამოწმოს მუშაობის მიმდინარეობა რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზათა რემონტისა და მშენებლობის თვითეული ობიექტის მიხედვით ცალ-ცალკე და დასახოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ მიმდინარე წელს საგზაო მშენებლობისათვის გაღებული სახსრების სრულ ათვისებას.

სახკომსაბჭომ დაავალა რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტთა თავმჯდომარეებს ხუთი დღის ვადაში მოისმინონ რაიაღმასკომების პრეზიდიუმებზე საგზაო განყოფილებათა გამგეების მოხსენებები და დაამტკიცონ ღონისძიებანი, რომლებიც სავსებით უზრუნველჰყოფენ მიმდინარე წლის სამუშაოთა გეგმის შესრულებას რაიონის საგზაო მეურნეობაში მთლიანად, და მიღებულ ღონისძიებათა შესახებ 10 დღის განმავლობაში აცნობონ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს.

სახკომსაბჭომ ნება დართო საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოსთან არსებულ მთავარ საგზაო სამმართველოს 1938 წლის ოქტომბრის დამლევს მოიწვიოს რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების საგზაო განყოფილებათა გამგეების თათბირი რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობისა და რემონტის სამუშაოთა გეგმის შესრულების მიმდინარეობის საკითხებზე.

სახკომსაბჭომ მოისმინა ინფორმაცია **მოსავლიანობის გამომრკვევი ბორჩალოს რაიონული კომისიის მუშაობის შემოწმების შედეგთა შესახებ** და აღნიშნა, რომ ბორჩალოს რაიაღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. გულიევმა კოლმეურნეობათა მოსავლიანობის გამორკვევის დარგში მუშაობა ჩაატარა მოსავლიანობის გამორკვევის ინსტრუქციის უხეში დარღვევით, რისი შედეგიც არის მთელი რიგი არაზუსტობა ანგარიშებში, რომლებიც ჩაბარდათ კოლმეურნეობებს იმ სამუშაოთა ნატურანაზღაურებისათვის, რომლებიც მტს-მა შესრულა 1938 წლის მოსავლის ანგარიშში.

სახკომსაბჭომ წინადადება მისცა სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სს რესპუბლიკაში ამხ. ჰოლოკავას და საქართველოს სს რესპუბლიკის მიწსახკომს ამხ. ხოშტარიას დაუყოვნებლივ გაგზავნონ თავიანთი მუშაკები ბორჩალოს და სადახლოს მტს-ებში, გულმოდგინედ შეამოწმონ კოლმეურნეობათათვის ნატურანაზღაურების ხაზით ჩაბარებული ყველა ანგარიში და შეიტანონ ამ ანგარიშებში საჭირო შესწორებანი მტს-ების მიერ ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოთა და კოლმეურნეობათა ფაქტიური მოსავლიანობის მონაცემების შესაბამისად.

კოლმეურნეობათა მოსავლიანობის გამორკვევის მუშაობის არასწორად ჩატარებისათვის სახკომსაბჭომ მითითება მისცა ბორჩალოს რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. გულიევს და გააფრთხილა იგი, რომ, თუ შემდგომში დაუშვებს ზემდგომ ორგანოთა მითითებების დარღვევას, იგი მოხსნილი იქნება სამუშაოდან და პასუხისგებაში იქნება მიცემული.

განიხილა რა მშრომელ ებრაელთათვის **საცხოვრებელ სახლთა მშენებლობის მდგომარეობის** საკითხი, საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭომ მშრომელ ებრაელთათვის საცხოვრებელი სახლების დასამთავრებლად ქალ. სტალინირში, ონში და სამტრედიის რაიონის სოფელ კულაშში გამოჰყო 800 ათასი მანეთი.

სახკომსაბჭომ დაავალა სამხრეთოსეთის ავტონომიური ოლქის ცაკის თავმჯდომარეს ამხ. ხუბაევს, სამტრედიისა და ონის რაიაღმასკომთა თავმჯდომარეებს დაუყოვნებლივ გააჩაღონ მუშაობა მშრომელ ებრაელთათვის საცხოვრებელი სახლების დასამთავრებლად იმ ვარაუდით, რომ ზემოაღნიშნული სახლები სავსებით დამთავრდეს და იქ ჩასახლებულ იქნან მშრომელი ებრაელები 1938 წლის დამლევამდე.

იმ მიზნით, რომ დროულად ჩატარდეს 1938 წლის შემოდგომის პერიოდში წყალდიდობასთან ბრძოლის გადაუდებელი სამუშაოები და თავიდან აცილებულ იქნას სახნავ-სათესი მიწების და დასახლებული პუნქტების წალეკა, საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ განიხილა და დაამტკიცა საქართველოს რესპუბლიკის მიწსახკომის მიერ წარმოდგენილი დამატებითი გეგმა 1938 წლის შემოდგომის პერიოდში წყალდიდობასთან ბრძოლის სამუშაოებისა 376.203 მანეთის რაოდენობით.

საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭომ წინადადება მისცა სატყეო მრეწველობის კომისარიატს ნება დართოს საქართველოს სს რესპუბლიკის მიწსახკომის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უსასყიდლოდ მოსჭრას სათანადო რაოდენობის ხე-ტყე ნაპირების გასამაგრებელ სამუშაოთა საჭიროებისათვის.

საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭომ განიხილა მოხსენებითი ბარათი სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა საქართველოს სს რესპუბლიკაში ამხ. ჰოლოკავასი იმ საქონლის განიავების ფაქტების შესახებ, რომელიც გაცემულია ტყავნედლეულის დამზადებათა სტიმულირებისათვის.

სახკომსაბჭომ წინადადება მისცა სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სს რესპუბლიკაში ამხ. ჰოლოკავას, „სოიუზზაგოტკოჟის" მმართველს ამხ. გარიბოვს და ცეკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. ჯიბლაძეს—მოხსნან სამუშაოდან ტყავნედლეულის დამზადებათა სტიმულირებისათვის გაცემული საქონლის განიავებაში დამნაშავე პირნი და მასალები მათ შესახებ გადასცენ რესპუბლიკის პროკურორს მათი პასუხისგებაში მიცემისათვის.

სახკომსაბჭომ დაავალა კომისიას ამხ. ჰოლოკავას (სსრ კავშირის დამზადებათა სახკომისარიატის რწმუნებული საქართველოს სსრ-ში) თავმჯდომარეობით და ამხ. რუხაძისა (მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატი) და შელეგიას (საქართველოს სსრ სახკომსაბჭო) შემადგენლობით შეამოწმოს „სოიუზზაგოტკოჟის" აპარატის მუშაკთა შემადგენლობა და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს წინადადებანი ტყავნედლეულის დამამზადებელი აპარატის განსამტკიცებლად შემოწმებული კადრებით.

ამავე სხდომაზე სახკომსაბჭომ მოისმინა სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის საქართველოს სსრ-ის რწმუნებულის მოადგილის ამხ. კეცხოველის საინფორმაციო მოხსენება და აღნიშნა, რომ აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭომ და სოხუმის, ოჩამჩირისა და აგრეთვე ცხაკაიას რაიონების რაიაღმასკომებმა მთლიანად არ შეასრულეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილება „გერანის მწვანე მასის მოჭრისა და დამზადების მიმდინარეობის შესახებ". სოხუმის რაიონში სტალინის სახელობისა და ბერიას სახელობის კოლმეურნეობებში, „ახალი შარას" და მახარაძის სახელობის კოლმეურნეობებში და ოჩამჩირის რაიონში „კრასნი ტამიშისა" და „კვიტაულა აგუს" კოლმეურნეობებში პლანტაციები დანაგვიანებული, სარეველა ბალახებისაგან გაუწმენდელი დარჩნენ, მათში არ არის შეტანილი სასუქი და მოწეული გერანის მნიშვნელოვანი რაოდენობა ჯერ კიდევ არ არის მოჭრილი და ჩაბარებული დასამზადებელ პუნქტებში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ წინადადება მისცა აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. რაფავას ხუთი დღის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს ახსნა - განმარტება, თუ რა მიზეზით არ არის შესრულებული საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1938 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილება „გერანის მწვანე მასის მოჭრისა და დამზადების მიმდინარეობის შესახებ", დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები და ხუთი დღის ვადაში სრულიად გასწმინდოს გერანის პლანტაციები სარეველა ბალახებისაგან; დაავალოს გერანის ყველა კოლმეურნეობას მოახდინონ გერანის დროზე მოჭრა და მისი ჩაბარება ქარხნებისათვის, აგრეთვე სასუქის შეტანა გერანის იმ პლანტაციებში, რომელთა მოსავლის მოჭრაც მოხდება 1-ლი ნოემბრის შემდეგ.

სახკომსაბჭომ განიხილა და დაამტკიცა საქართველოს სსრ მიწსახკომის მიერ წარდგენილი გეგმა საზამთრო საძოვრების განაწილებისა და ცხვრის სულადობის საძოვრებზე მოთავსებისა 1938-39 წლის ზამთარში და დაავალა საქართველოს სსრ მიწსახკომს მიმდინარე წლის 1-ლ ნოემბრამდე დაამთავროს იმ საზამთრო საფონდო საძოვრების საზღვართა გამორკვევა, რომლებიც ეთმობა ამ საძოვრებით მოსარგებლეებს.

სახკომსაბჭომ წინადადება მისცა დუშეთის, ყაზბეგის, ლენინგორის, წითელი წყაროს, თელავისა და სიღნაღის რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს უზრუნველჰყონ იმ პირუტყვის მოძრაობის ზუსტი წესრიგი, რომელსაც რესპუბლიკის გარეშე საძოვრებზე მიერეკებიან, პასუხისმგებელ წარმომადგენელთა გამოყოფით, ხოლო ყაზბეგის, დუშეთისა და ლენინგორის რაიონებში, გარდა ამისა, უზრუნველჰყონ დამცველი რაზმი პირუტყვის გასაყოლად მისი მსვლელობის გზაზე და გაანაწილონ იგი საზამთრო საძოვრებზე.

ყიზლარში საზამთრო საძოვრებზე მიმავალი ცხვრის ფარის გაყოლა სახკომსაბჭომ მიანდო მიწსახკომის მეცხოველეობის სამმართველოს უფროსის მოადგილეს ამხ. ბედიაშვილს და აგრეთვე დაავალა მიწსახკომს გამოჰყოს ვეტერინარულ ექიმთა ჯგუფი ცხვრის ფარის გასაყოლად.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ ამავე სხდომაზე განიხილა მთელი რიგი საკითხები, რომელთა შესახებაც მიღებულია სათანადო გადაწყვეტილებანი. (საქდესი).

გამოთხოვება სახალხო არტისტთან

მ. მ. ბლიუმენტალ-ტამარინას დაკრძალვა

17 ოქტომბერს, დაახლოებით შუაღამისას ლენინის ორდენოსან სახელმწიფო აკადემიურ მცირე თეატრის შჩეპკინის ფოიეში დასვენებულ იქნა კუბო სსრ კავშირის სახალხო არტისტის მარიამ მიხეილის-ასულის ბლიუმენტალ-ტამარინას ნეშტით. ათასობით ადამიანები მიდიოდნენ უკანასკნელი ვალის მოსახდელად მის წინაშე.

18 ოქტომბერს, დილის 8 საათიდან კვლავ გაიღო თეატრის კარები და კვლავ ადამიანთა ნაკადია შჩეპკინის ფოიეში.

კუბოსთან მიდის ყველა ასაკისა და სხვადასხვა პროფესიის ხალხი— აქტიორები, მუსიკოსები, მხატვრები, მუშები, წითელი არმიის მებრძოლები და მეთაურები, მოსამსახურენი, მოსწავლენი.

14 საათია. კუბოსთან მისვლა სწყდება. გამოთხოვების უკანასკნელ წუთებში კუბოსთან დარჩენილთა შორის არიან სსრ კავშირის სახალხო არტისტები ი. მ. მოსკვინი, ვ. ვ. ბარსოვა, ა. ა. იაბლოჩკინა, ვ. ი. კაჩალოვი, ა. ვ. ნეჟდანოვა, მ. მ. კლიმოვი, პ. მ. სადოვსკი, ვ. ნ. რიჟოვა, ა. კ. ტარასოვა, მცირე თეატრის მუშაკები, განსვენებულის ნათესავები და მეგობრები.

სამგლოვიარო კრებას ხსნის ხელოვნების მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ა. ი. პაშკოვსკი.

მცირე თეატრის კოლექტივის სახელით გამოდის სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ა. იაბლოჩკინა, ლაპარაკობენ წარმომადგენლები ხელოვნების მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტისა, მოსკოვის საბჭოსი, წითელი არმიის მებრძოლებისა და მეთაურებისა, სრულიად-რუსეთის თეატრალური საზოგადოებისა.

...გამოთხოვების უკანასკნელი წუთებია, და მაღლა აწეული კუბო გამოაქვთ თეატრიდან. წინ ალისფერ ხავერდის პატარა ბალიშზე მიაქვთ ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენები, რომლებითაც დაჯილდოებული იყო ბლიუმენტალ-ტამარინა.

○

18 ოქტომბერს, საღამოს მოხდა მ. მ. ბლიუმენტალ-ტამარინას ცხედრის კრემაცია. (საკდესი).

ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის სუბტროპიკულ კულტურათა სექციის პლენუმის მონაწილენი (მარცხნიდან მარჯვნივ): საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ნ. გიორგაძე, აკადემიკოსები: ა. ა. შმუკი, ა. ა. რიხტერი, ნ. ი. ვავილოვი და საქ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ა. საჯაია.
ფოტო ი. იმედაძისა.

დღეს იწყება საშემოდგომო სადღესასწაულო ბაზრობა

დღეს თბილისში დაიწყება საშემოდგომო სადღესასწაულო საკოლმეურნეო ბაზრობა. ორდენოსანი საქართველოს დედაქალაქის ბაზრები ჩვეულებრივზე გაცილებით უფრო მეტად გაივსება სოციალისტური მინდვრების უხვი ბარაქით.

საკოლმეურნეო ბაზრობა დაიწყება აგრეთვე ბათუმში, ქუთაისში, სოხუმში და ფოთში — 25 ოქტომბრიდან, ჭიათურაში, ზუგდიდში, ტყიბულში, გორში და წითელწყაროში — 1 ნოემბრიდან. იმ მიზნით, რომ ეს საქმე ორგანიზებულად ჩატარდეს, ამჟამად მიმდინარეობს გაცხოველებული მზადება. მოსახლეობაში ტარდება ფართო ახსნა - განმარტებითი მუშაობა. თბილისის ბაზრების კომიტეტებს სამზადისისათვის შემუშავებული აქვთ კონკრეტული სამუშაო გეგმა. ბაზრობაზე ჩამოსულნი უზრუნველყოფილი იქნებიან ბინით — მათ დაეთმობათ ცენტრალური გლეხთა სახლი, სწარმოებს შეკეთება ნავთლუღის გლეხთა სახლისა, საბურთალოს გლეხთა სახლში დამატებით გამოყოფილია 30 საწოლი. გამოყოფილია ბინები საქონლისათვის. 20 ოქტომბრიდან თბილისის ყველა შემოსასვლელზე მიმაგრებული იქნებიან პასუხისმგებელი მუშაკები, რომლებიც ბაზრობაზე ჩამოსულთ რაიონების მიხედვით გაანაწილებენ ბაზრებზე, სადაც მათ წინდაწინ გამოყოფილ ადგილს მიუჩენენ. ყველა ბაზარში დადგმული იქნება რადიო, ჩატარდება იურიდიული, აგრონომიული და ვეტერინარული ხასიათის საუბრები, ბაზრებში მოეწყობა რკინიგზის ბილეთების სალარო, წესრიგის უკეთ დაცვის მიზნით დამატებით გამოყოფილია კადრები, მოეწყობა ბაზრობაზე ჩამოსულთა კოლექტიური ექსკურსია მუზეუმებში, კოლექტიური დასწრება კინოში და თეატრებში.

ბაზრობაზე ფართოდ იქნება გაშლილი შემხვედრი ვაჭრობა სამრეწველო საქონლით. ამ საქმეში მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი და რესპუბლიკური მნიშვნელობის სავაჭრო ორგანიზაციები. „თბილვაჭრობა" ბაზრობაზე გამოიტანს 1 მილიონ 50 ათასი მანეთის სამრეწველო საქონელს, „თბილსოიუზუნივერმაგი" — 300 ათასი მანეთისას, „საქხორცტრესტი" — 330 ათასი მანეთისას, „გლავობუვპრომი" — 200 ათასი მანეთისას, სარეწაო და ინკოოპკავშირები — 350 ათასი მანეთისას და სხვ. სულ თბილისის ბაზრობაზე გამოტანილი იქნება 4 მილიონ 200 ათასი მანეთის სამრეწველო საქონელი.

ასევე რაიონულ ბაზრობებზედაც ფართოდ გაიშლება შემხვედრი ვაჭრობა სამრეწველო საქონლით. ამ მიზნით, საქართველოს ვაჭრობის სახალხო კომისრის ბრძანებით, სამრეწველო საქონლის ბაზებს დავალებული აქვთ უზრუნველჰყონ სამრეწველო საქონლის ჩაბარება მესამე კვარტალში დარჩენილი ფონდებისა და აგრეთვე მეოთხე კვარტალის გეგმების ანგარიშში სულ ცოტა 33 პროცენტის რაოდენობით.

საკოლმეურნეო ბაზრობის დაწყების მომენტიდან ბაზრების დირექციების უმნიშვნელოვანესი ამოცანა იქნება სპეკულაციის წინააღმდეგ მკაცრი ბრძოლა. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ საბჭოთა ვაჭრობას არ გავაკაროთ არცერთი თაღლითი, არცერთი სპეკულანტი. ასეთია ამოცანა.

აკ. შონია

მეტი ყურადღება მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერას

(საკ. კორესპონდენტისაგან)

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში უკვე დამთავრებულია სააღწერო განყოფილებების შექმნა და მათთვის შესაფერისი კადრების დამტკიცება. პერსონალურად დამტკიცებული არიან: სააღწერო განყოფილებათა გამგეები და მათი მოადგილეები—საჭიროა 14, დამტკიცებულია 15; კონტროლიორ-ინსტრუქტორები—საჭიროა 80 დამტკიცებულია 84; აღმწერები — საჭიროა 322, დამტკიცებულია 332. ასევე შერჩეული და დამტკიცებულია რაიინსტრუქტორების 5 თანაშემწე. მაგრამ შერჩეულ კადრებთან მუშაობა ჯერ კიდევ არ არის დაწყებული. ეს კადრები მომზადებული არ არიან მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერისათვის.

სტალინირის და ზნაურის რაიონებში, რაიინსპექტორებისათვის დღემდე არ არის გამონახული სამუშაო ბინა. ასევე საუბნო განყოფილებებისთვისაც არ არის გამოყოფილი ბინები.

ქალაქ სტალინირის (ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე—ა. გასიევი) სქემატური რუკა არაზუსტად არის შედგენილი, დამთავრებული არ არის სახლების ნუმერაცია: ბერიას სახელობის ქუჩაზე, ებრაელთა უბანში, დგვრისში, ცერაანთში, კასრაანთში. სახლები სქემატურ რუკაში მექანიკურად არის შეტანილი. დაზუსტებული არ არის სახლების მფლობელთა სიები და საბინაო დავთრები. ებრაელთა უბანში, დგვრისში, ქალაქის ცენტრალურ ნაწილში და სხვ.

აღწერისათვის კარგად მომზადებაში უდიდეს როლს თამაშობს ახსნა-განმარტებითი, სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის ჩატარება, მაგრამ ამ მხრივ ჯერ კიდევ სუსტად მუშაობენ ოლქის პარტიული, კომკავშირული, საბჭოთა და პროფესიული ორგანიზაციები. ამ საქმეში ჯერ კიდევ გამოყენებული არ არიან პროპაგანდისტები, აგიტატორები, წამკითხველები და სხვ.

აღწერის დროს სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის კარგად დაყენებისა და აღწერის დროულად ჩატარების საქმეში დიდ როლს თამაშობს ქალაქის საბჭოებთან, სოფლსაბჭოებთან, დიდ კოლმეურნეობებთან, სკოლებთან და სხვ. ხელშემწყობი კომისიების დროულად გამოყოფა. ამის შესახებ საოლქო აღწერის ბიუროს უფროსმა ამხ. ტარასი ჯიოევმა შემდეგი განაცხადა: „ხელშემწყობი კომისიები სოფლსაბჭოებთან გამოყოფილია, მაგრამ მათი მუშაობის შესახებ ცნობები არა გვაქვს. რაც შეეხება ხელშემწყობი კომისიების გამოყოფას დიდ კოლმეურნეობებთან, სკოლებთან და სხვ., ეს ჯერ არ დაწყებულაო".

ამხ. ტ. ჯიოევმა ჯერ კიდევ ზუსტად არ იცის, სად, როდის უნდა დაიწყოს აღწერა. აღწერის დრო კი მოახლოვდა. სამხრეთ-ოსეთის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ მომზადებული შეხვდნენ მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერას.

კ. ტრაპაიძე.

სუსტად ემზადებიან

თბილისის 26 კომისრის რაიონში მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერისათვის მზადება ჯერ კიდევ სუსტად მიმდინარეობს. აქ დღემდე არ დაუმთავრებიათ რაიონის სქემატიური გეგმის შედგენა, მაშინ როდესაც ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილების მიხედვით ეს სამუშაო 1 სექტემბრისთვის უნდა დამთავრებულიყო. ასევე დაუმთავრებელია ზოგიერთი სახლების ნუმერაცია.

ყველაფერ ამას რომ თავი დავანებოთ, სააღწერო კადრებმა და მათმა ზოგიერთმა ხელმძღვანელებმა, განყოფილების გამგეებმა: მიგდისოვმა, ვ. ჯაფარიძემ, ა. თელიამ, მ. კეზელიამ და ინსტრუქტორ-კონტროლიორებმა, ხელშემწყობმა კომისიებმა და რეგისტრატორებმა არც კი იციან, თუ ვინ, სად, რომელ განყოფილებაში, რომელ საინსტრუქტორო ზონაში ან რომელ უბანზეა მიმაგრებული.

ცუდად არის დაყენებული აგრეთვე საბინაო დავთრების შემოწმების საქმე. ამ მხრივ თითქმის არაფერი გაუკეთებიათ მილიციის № 8 განყოფილებას (განყოფილების უფროსი ამხ. ცქიტიშვილი) და № 9 განყოფილებას (უფროსი — ამხ. დემეტრაშვილი). აქ სასხვათაშორისო საქმედ სთვლიან აგიტაცია-პროპაგანდას. ჯერ კიდევ არ შეურჩევიათ აგიტატორები, რომლებიც მასებს გააცნობენ მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერის სამეურნეო-პოლიტიკურ მნიშვნელობას.

რაიონულმა ხელმძღვანელმა ორგანოებმა ყოველგვარი ზომები უნდა მიიღონ ამ ჩამორჩენის სასწრაფოდ ლიკვიდაციისათვის.

დ. ბიგვავა.

„ზაგოტზერნოს" კანტორა ცუდად მუშაობს

სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარება პირველი მცნებაა. მაგრამ ყველგან როდი მოეპყრნენ სერიოზულად ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეს. ბორჩალოს, ლაგოდეხის, ხაშურის, კასპის, თელავის, ყვარლისა და ახალქალაქის რაიონები და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი ჩამორჩნენ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარების გეგმის შესრულებაში.

ნელი ტემპით მიმდინარეობს აგრეთვე მტს-ებისათვის ნატურანაზღაურების გასწორება. ხაშურის რაიონს 15 ოქტომბრისათვის ნატურანაზღაურების გეგმა შესრულებული ჰქონდა 32,3 პროცენტით, გორისას—23,3-ით, თბილისისას — 41,3-ით, ბაშკიჩეთისას — 29,9-ით, წალკისას — 6,8-ით, თიანეთისას — 5,8-ით.

ამ სამარცხვინო ჩამორჩენის მიზეზად უმთავრესად უნდა დავასახელოთ ზოგიერთი ადგილობრივი რაიონული ხელმძღვანელი ორგანიზაციის ნაკლები პასუხისმგებლობის გრძნობა პურის ჩაბარების გეგმის შესრულებისადმი, დამამზადებელი ორგანოების არაოპერატიული ხელმძღვანელობა და ადგილებისათვის ცოცხალი დახმარების გაუწევლობა.

გარდა იმისა, რომ ზოგიერთ რაიონში ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანიზაციები, სოფლის საბჭოები და კოლმეურნეობათა გამგეობები მოუქნელად მუშაობენ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების საქმეში, თვით დამამზადებელი ორგანოებიც ნაკლებ პასუხისმგებლობას იჩენენ. ეს განსაკუთრებით ითქმის „ზაგოტზერნოს" საქართველოს კანტორის ბაზებზე.

„ზაგოტზერნოს" საქ. კანტორის ნავთლუღის ბაზაში, საწყობების წინ, ხშირად იმართება ჩამბარებელთა რიგი. მეზობელი რაიონებიდან მოსული კოლმეურნეები 3—4 დღეს ბაზაში ატარებენ. ამის დასადასტურებლად მრავალი ფაქტის დასახელება შეიძლება. სოფელ ღვევის (აღბულაღის რაიონი) ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობიდან ნავთლუღის ბაზაში 4 ტონა მარცვლეული მოიტანეს ჩასაბარებლად. 9 კაცს მუშა-პირუტყვით 3 დღე მოუხდა რიგში დგომა. ასეთივე ბედი ეწია ამავე რაიონის სოფელ შამთის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის 4 წევრს.

სოფელ ედიქილისის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები 3 დღეს გააჩერეს ბაზაში იმის გამო, რომ ქვითარში ხორბლის სისუფთავის მაჩვენებელი პროცენტი და კატეგორია ერთმანეთს არ შეეფარდებოდა. ამის გამო კოლმეურნეობის ხელმძღვანელს ამხ. კოსტოვს ხელმეორედ მოუხდა წალკის რაიონში წასვლა, რამაც, ცხადია, მუშა-ხელისა და მუშა-პირუტყვის მეტ ხანს გაცდენა გამოიწვია. რა თქმა უნდა, ამ საქმის ადგილზევე მოწესრიგება ძნელი არ იყო. ყველაფერი ეს მოწმობს, რომ ნავთლუღის ბაზაში მოუწესრიგებელია მარცვლეულის მიღება. ბაზის გამგე ამხ. ხარაძე ამას რატომღაც ურიგდება.

ნავთლუღის ბაზის ცუდი მუშაობა იმითაც აიხსნება, რომ „ზაგოტზერნოს" საქართველოს კანტორას (მმართველი ამხ. ცანავა) ცოცხალი კავშირი არა აქვს ადგილებთან, „ზაგოტზერნოს" ცენტრალურ აპარატში ჯერ კიდევ ადგილი აქვს საქმისადმი ბიუროკრატიულ-უსულგულო დამოკიდებულებას. „ზაგოტზერნოს" მუშაკები გამსჭვალული არ არიან პასუხისმგებლობის გრძნობით.

„ზაგოტზერნოს" საქართველოს კანტორის მმართველის მოადგილე ამხ. ლიშჩინსკი უდარდელად აცხადებს — ჩვენი საქმეა მხოლოდ მარცვლეულის მიღება, მისი დაცვა და თუ ჩამორჩენას აქვს ადგილი, ეს რა ჩვენი ბრალიაო. ცხადია ეს არ არის სწორი, მაგრამ მარცვლეულის მიღების ორგანიზაციაც რომ არ არის მოწესრიგებული ზოგიერთ ბაზაში? ისიც ფაქტია, რომ „ზაგოტზერნოს" საქართველოს კანტორის მუშაკები იშვიათად დადიან ადგილებზე. ამხ. ლიშჩინსკის განცხადება იმას მოწმობს, რომ „ზაგოტზერნოს" ხელმძღვანელთ სურთ თავი დაიძვრინონ პასუხისმგებლობისაგან, მაგრამ ეს არ გამოვა, ამხ. ლიშჩინსკი.

ბოლოს და ბოლოს დროა „ზაგოტზერნოს" საქართველოს კანტორის მუშაკებმა დაამყარონ ბოლშევიკური წესრიგი „ზაგოტზერნოს" სისტემის აპარატში.

ლ. ისაკოვი.

დაბადებიდან 125 წლისთავისათვის

ტარას შევჩენკო

ტარას შევჩენკოს სამშობლო სოფელში.
სურათზე: იარინა ლარჩენკოს ქოხი, სადაც პოეტი სწავლობდა წერა-კითხვას დიაკონ კოციუბინსკისთან 1822-23 წლებში.
ფოტო ი. პავლოცკისა („სოიუზფოტო“)

ტ. შევჩენკო დიმიტრი ყიფიანის მოგონებებში

ტანჯვა „აშმორებულ ყაზარმაში“, როგორც შევჩენკო უწოდებდა თავის გადასახლებას ნოვოპეტროვსკში, — დამთავრდა. შევჩენკო გაანთავისუფლეს. პეტერბურგში დაბრუნებისას (1858 წლის 27 მარტიდან) პოეტმა მნიშვნელოვანი ცვლილებები შეამჩნია. დაწყებულიყო ე. წ. „დიადი რეფორმების ეპოქა“, რომელმაც სახელმწიფო წყობილების მრავალ მხარეთა განახლება გამოიწვია. მოვიდა და მეცნიერებასა და ხელოვნებაში ადგილი დაიკავა რაზნოჩინეცმა, რომელმაც მონაწილეობა მიიღო მაშინდელ საზოგადოებრივ მოძრაობაში. სამყაროსა და ცოცხალი ბუნების დიადი საკითხები მაშინ ინტელიგენციას განსაკუთრებით აინტერესებდა. წმინდა სამეცნიერო მუშაობასთან ერთად უნივერსიტეტებში ხდებოდა ცოდნათა პოპულარიზაცია. ისეთი მეცნიერები, როგორიც იყვნენ სეჩენოვი და ბეკეტოვი, სწერდნენ წიგნებს ხალხის ფართო ფენებისათვის, პეტერბურგში იმართებოდა საჯარო ლექციები, უმთავრესად პასაჟის, ქალაქის სათათბიროს დარბაზებში და რუ(ხ)აძესთან (სადაც ჩერნიშევსკი გამოდიოდა). „ნევის პროსპექტზე, სათათბიროს დარბაზებში, გაიხსნა კურსები, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ ყველაზე უფრო პოპულარული პროფესორები, — სწერდა პ. ბობორიკინი. — კურსების მესვეურნი იყვნენ მხოლოდ სტუდენტები. ისინი შეადგენდნენ განსაკუთრებულ კომიტეტს, კავშირი ჰქონდათ ლექტორებთან, ნიშნავდნენ ლექციების საათებს, აწესებდნენ გადასახადს“. მოწყობილ იქნა განსაკუთრებული საზოგადოებაც კი (1858 წელს) „სტრუგოვშჩიკოვის, პახიტონოვის და ვოდოვის სავაჭრო სახლის“ სახელწოდებით, რომლის ამოცანა იყო ხელი შეეწყო „საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა შესწავლის აუცილებელ მოთხოვნილებისათვის, რომელმაც საზოგადოებაში იჩინა თავი“. მალე საბუნებისმეტყველო - სამეცნიერო ლექციებმა, რომლებიც პასაჟში დაიწყო, უფრო საზოგადო ხასიათი მიიღო.

„ამავე კათედრაზე, — სწერს ტიმირიაზევი, — პეტერბურგმა დაინახა სქელეპოლეტებიანი სოკრატის, ფილოსოფოს-არტილერისტის პ. ლ. ლავროვის თავისებური ფიგურა“. იმ ხანებშივე გამოვიდა ლიტერატურის ისტორიის პროფესორი ბულიჩიც. ამ ლექციებს, როგორც პოლიტიკას ყველაზე მეტად დაშორებულებს, მთავრობა სთვლიდა უვნებლად და ამიტომ განსაკუთრებული დაბრკოლებები, პირველ ხანებში, მათ არ შეხვედრიათ.

საბუნებისმეტყველო-გამოყენებით თემებზე ლექციების კითხვასთან ერთად 1860 წლის იანვრიდან დაიწყო მაშინდელი პოპულარული ავტორების ლიტერატურული კითხვის საღამოები. ამ საღამოებს აწყობდა ახლად ორგანიზებული სალიტერატურო ფონდი. კითხვის ამ საღამოებზე, რომლებიც მეტწილად პასაჟის შენობაში იმართებოდა, მონაწილეობას იღებდნენ მაშინდელი ისეთი გამოჩენილი მწერლები, როგორიც იყვნენ ტურგენევი, დოსტოევსკი, პისემსკი, ოსტროვსკი და სხვ. ლიტერატურულ საღამოებთან ერთად სალიტერატურო ფონდის სასარგებლოდ იმართებოდა სცენის მოყვარულთა წარმოდგენები, რომლებშიაც მწერლები იღებდნენ მონაწილეობას. ეს წარმოდგენები იდგმებოდა რუხაძის დარბაზში.

ერთ ასეთ ლიტერატურულ საღამოს, რომელშიც ტარას შევჩენკოსაც მიუღია მონაწილეობა, თავის მოგონებებში დაწვრილებით აგვიწერს დიმიტრი ყიფიანი, რომელიც იმ დროს პეტერბურგში იყო.

დიმიტრი ყიფიანი იმ დროს იყო სამეგრელოს მცირეწლოვანი მთავრის საქმეთა მეურვე და გაწვეული იყო პეტერბურგში, სადაც სწყდებოდა ავტონომიური სამეგრელოს გაუქმების საკითხი, რასაც დაჟინებით მოითხოვდა მეფის მაშინდელი ნაცვალი კავკასიაში ბარიატინსკი, რომელიც ავტონომიის არსებობაში ხედავდა „მთავრობის ღირსების“ შებღალვას.

ყიფიანმა პეტერბურგში თითქმის ერთი წელი დაჰყო. ლიტერატურული და არტისტული ცხოვრების არცერთი დიდი მოვლენა არ დარჩენილა ყიფიანის დაკვირვების გარეშე. იგი დაესწრო ცნობილი რისტორის თითქმის ყველა გასტროლებს, მოისმინა შტრაუსის კონცერტებს, იყო სალიტერატურო კითხვებზე. ამ საღამოებზე მიღებულ შთაბეჭდილებებს იგი წერილებში უზიარებს თავის ცოლს ნინო იაგორის ასულს *).

„...გუშინწინ (ე. ი. 10 ნოემბერს) ვიყავი ლიტერატორების საჯარო კითხვაზე პასაჟში, კითხულობდნენ: ბენედიქტოვი — მშვენივრად; ჩვენი პოლონსკი აქ ახლა შესანიშნავი პოეტია, — კარგად; მაიკოვი—მშვენივრად; დოსტოევსკი, პისემსკი—**საშუალოდ, და შევჩენკო, მალოროსიელი** პოეტი და მხატვარი, — საუცხოოდ. საქმე გაგრძელდა საღამოს 7½ საათიდან 10½ საათამდე. დარბაზი გაჭედილი იყო“.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ცნობა ნაწყვეტ-ნაწყვეტად არის მოყვანილი, იგი მეტად ძვირფასია. იგი არკვევს შევჩენკოს პეტერბურგში ყოფნის თარიღს, იძლევა საღამოს მონაწილეთა სახელებს, გვიჩვენებს, რამდენად მოეწონა შევჩენკო ისეთ მკაცრ შემფასებელს, როგორიც ყიფიანი იყო.

საინტერესოა ზემოთმოყვანილ აღწერას შევადაროთ შევჩენკოს გამოსვლის მეორე უშუალო მოწმის — ე. ა. შტაკენშნეიდერის მოგონება. აი რას სწერს იგი:

„... შევჩენკო საზოგადოებამ მიიღო ისე, თითქოს იგი იყოს გენიოსი, რომელიც პასაჟის დარბაზში პირდაპირ ზეციდან ჩამოვიდა“.

ამ საღამოზე შევჩენკოს გამოსვლის შესახებ თავის საინტერესო მოგონებებში დაწვრილებით მოგვითხრობს ლ. პანტელეევიც.

„...შევჩენკოს ისე გულითადად შეხვდნენ, რომ მან გულაჩუყებულმა სისუსტე იგრძნო და დასტოვა ესტრადა; და მხოლოდ მაშინ, როდესაც ცოტა დამშვიდდა, იგი დაბრუნდა და შეუდგა კითხვას. როგორც მახსოვს, მან წაიკითხა ნაწყვეტი „გაიდამაკებიდან“.

ი. ენაკოლოფოვი

---

*) ქვემოთ მოყვანილი ციტატები წერილიდან, რომელიც დაწერილია 1860 წლის 13 ნოემბერს, წარმოადგენენ ნაწილს ყიფიანის საოჯახო და ლიტერატურული არქივისას, რომელიც საქართველოს მწერალთა მუზეუმში ინახება.

კავკასი

მთების იქით მთები, შებურვილი ნისლით,
მწუხარებით სავსე და მორწყული სისხლით.

ძველთაგანვე პრომეთეოსს აქ არწივი სძიძგნის;
გულს უკორტნის, მოთქრიალებს ნაკადული სისხლის.
ეწაფება და ვერ აშრობს სისხლის ცხოველ წყაროს.
გული ისევ მოცოცხლდება, ძველებურად ხარობს.
და სიმართლეც არ მოკვდება, ვერ ჩაკლავენ ლაღებს.
რაგინდ ხარბი გული გქონდეს, ვერ გადახნავ ტალღებს;
ვერ შებორკავ კაცის სიტყვას,
რომ სიმართლეს ერთვის,
ვერ შებილწავ ღმერთის სახელს,
მარად ცოცხალ ღმერთის.

როგორ გავბედოთ შენთან კამათი,
ვინ გვკითხავს შენთა საქმეთა განსჯას!
დაცინვით გვადგას თავზე ჯალათი
და წილად გვერგო ცრემლი და ტანჯვა.

და პური ჩვენი არსებობისა
ცრემლით და ოფლით მოვზილოთ უნდა,
რადგან სიმართლე ჩვენი შრომისა
გადაქცეულა ძილისა გუდათ.

ნეტა როდის გაიღვიძებს იგი,
და შენ როდის დაიძინებ, ღმერთო,
რომ შესწყვიტო ჩვენი ქვეყნის ირგვლივ,
დამპყრობელის კოლონები ენთოს.

ხარ სიმართლის ბობოქარი ნება,
გვჯერა, მარად უძლეველი მოხვალ,
მოიტანო ჭეშმარიტი შვება
თვითეული დაჩაგრულის ქოხთან.

და საუკუნოდ,
ბედნიერებით
ყოველი ერი გიმღერებს ქებას...
დღეს კი მიჰქრიან მდინარეები..
სისხლი დამდგარი მდინარეებად.

მთების იქით მთები, შებურვილი ნისლით,
მწუხარებით სავსე და მორწყული სისხლით.

ღარიბ-ღატაკებს მიუვალ მთებში,
ჩვენი წყალობის თვალი დაჰყურებს.
მთები დავცხრილეთ ტყვიების თქეშით,
თავისუფლება გავანადგურეთ.
ბევრი სალდათის ძვლები დასტოვეს,
რამდენი სისხლი, ცრემლი მრავალი
იგი ათრობდა იმპერატორებს,
ძღებოდა მათი შთამომავალი.

ქვრივების ცრემლი, დედების გლოვა
და ქალწულების ფარული მოთქმა—
სუყველა ერთად რომ მოაგროვა,
ჩაიხრჩვებოდა ხელმწიფის მოდგმა.

ცეცხლის მდინარე მთებს ეკიდება,
მამებს, მოხუცებს, ბავშვებს ატირებს.
მწყალობელ მამას, მეფეს დიდება,
დიდება მწევრებს და მონადირეს.

დიდება თქვენს ვაჟკაცობას, თოვლიანო მთებო.
თქვენ—დიდება, არ დანებდეთ. მოძალადე სვავებს,
იბრძოლეთ და გაიმარჯვეთ, შორეულო ძმებო,
ზეცის მადლი ეფინება თქვენს ჭაღარა თავებს.

შენი პური—შენი სარჩო
არ მოსულა როგორც ძღვენი,
არ მოსულა მათხოვრობით,
შრომით გქონდა შენაძენი.
ყანა, ქოხი—ყველაფერი
შეუქმნია გამრჯელ მკლავსა,
ჩემიაო, ვერვინ გეტყვის,
და ციხეში ვერვინ ჩაგსვამს.
ჩვენთან წესი სხვაგვარია,
ჩვენ მივიღეთ სწავლა სრული.
ჩვენ ვკითხულობთ სადვთო წერილს
რომ გვიცხონოს ღმერთმა სული.
ნახე ჩვენი საპყრობილე,
აგერ მეფის ტახტი ელავს,
ჩვენ ყველანი ოქროში ვართ,
და შიშველი დავალთ ყველა.
მოდით ჩვენთან, შეგასწავლით,
რა ფასი აქვს პურს და მარილს.
ჩვენ გვაქვს სკოლა, ეკლესია
და სიკეთე ათასგვარი.
თავათ ღმერთიც ჩვენ გვემხრობა
მორწმუნეთა გვიცემს გული
მხოლოდ თვალში გვეჩხირება
შენი ქოხი ღარიბული.
იგი ჩვენ არ მოგვიცია
და ამიტომ გაგასახლებთ.
პურს წაგართმევთ და უკანვე
გადმოგიგდებთ, როგორც ძაღლებს.
მზე ხომ გათბობთ? ამისათვის
უნდა მოგვცეთ საფასური.
ჩვენ ბოშები ხომ არა ვართ?
ქრისტიანის გვიდგას სული.
მცირედითაც მაძღარი ვართ,
არ ჭამლებთ ზედმეტ ქრთამებს,
დავმეგობრდეთ და სანაცვლოდ
შეგასწავლით ათას რამეს.
სწორედ მისთვის გაგვაჩნია
ამოდენა მიწა-წყალი.
მარტო ციმბირს რომ გახედოთ,
ვერ გასწვდება კაცის თვალი.
მოლდაველთა მინდვრებიდან
ფინეთამდე ყველა ხარობს.
ყველას ენა დავადუმეთ,
რომ ლოცვებით ინეტარონ.
ჩვენ ბიბლიას გვასწავლიან,
რომ მორწმუნე მრევლი ვიყოთ..
ერთხელ, თურმე ვიღაც მეფე
ღორის მწყემსად დამდგარიყო,
შემდეგ მოჰკლა მეგობარი,
ვერაგულად დასცა დანა,
და ლამაზი ქვრივი მისი
თავის ხასად წაიყვანა.
და ამაღლდა მერე ცაში
ღვთის კურთხევით და ბრძანებით..
საიქიო სავსე არის
სულ ასეთი წმინდანებით.
თქვენ კი ისევ ბნელეთში ხართ,
თქვენ არა გწამთ ქრისტეს მცნება.
ჩვენგან უნდა შეისწავლოთ
წაგლეჯა და მითვისება;
მერე შეხვალთ სამოთხეში,
თუნდ მოყვრებიც წაიყვანეთ...
ყველა ვიცით, რა და როგორ...
ფრანგს ვაგინებთ, ვთესავთ ყანებს.
და ხანდახან კარტში ვაგებთ
ან გავყიდით ჩალის ფასად,
არა ზანგებს,—ადამიანს
ყველაფერში ჩვენსა მსგავსსა.
ჩვენ არა ვართ ურიები
რომ ჩარჩობა აძვერჩია,
ჩვენ ვაკეთებთ მხოლოდ იმას,
რაც კანონის ფარგლებშია.

განა მოძმე შეიყვარეთ მოციქულთა წესით?
ცბიერებო, ახლა სტკბებით დაჩაგრულთა კვნესით.
არა სული—ტყავი გიყვართ, გიყვართ მოძმის ზურგი,
და ატყავებთ, რომ ქალიშვილს შეუკეროთ ქურქი.
ცოლს—ლამაზი ფეხსაცმელი, ბავშვებს—სახლი სავსე—
დანარჩენი მოხმარდება ლოთობას და ხასებს.

რისთვის ეწამე მაღალო ღმერთო,
ნუთუ ამათთვის აზიდე ჯვარი
ჭეშმარიტება გსურდა აგენთო
და სიმართლისა გაგეღო კარი?
იქნებ გინდოდა ხალხი გაგერთო
როგორც მასხარას?
ეს უკვე არის.
ყოველ ტაძარში ლოცვად დგებიან,
იწვის სანთელი და საკმეველი,
ხატებას შენსას ევედრებიან
ყაჩაღობაში შეგვიწყვე ხელი.
ომი და სისხლი აჩრჩობდეს ერებს,
ძმების გათიშვა სწყურია მტარვალს.
და მოგართმევენ საჩუქრად მერე
ომის ცეცხლიდან მოპარულ ნადავლს.

ჩვენ გავნათლდით, გაგანათლებთ, არ ვიქნებით უქმად,
დე ჩახედოს ბრმების თვალებს სამართალის შუქმა.
ჩვენ ყველაფერს შეგასწავლით მორჩილსა და საწყალს,
საპყრობილის აშენებას და მათრახის დაწნას.
შეგასწავლით—როგორ უნდა ატარებდეთ ბორკილს,
როგორ უნდა გამოისკვნას სახრჩობელას თოკი.
ოღონდ მთები ჩაგვაბარეთ, ამოგვეშვით ზევით...
დანარჩენი დავიპყარით,— მინდვრები და ზღვები.

ჩემო იაკობ ერთად-ერთო, ძმაო კეთილო,
შენი ფეხის-ხმაც სამშობლოში აღარ გაისმის,
დაღვარე სისხლი, უცხოეთში გადახვეწილო,
და ის არ იყო უსაყვარლეს უკრაინისთვის.
ძმაო, სასჯელი უმკაცრესი ბედმა გარგუნა,
და მოსკოვური აზარფეშა შხამით გალესეს.
დიდების შვილო, უკვდავება არ დაკარგულა,
უკვდავი სულით უკრაინას მიუალერსე.
გაჰყევ კაზაკებს, მდინარეებს, ნახე მთა-ველი,
გათხრილ კურგანებს მიმავალე თვალი მტირალი,
და როცა ძლიერ მოგაწვება გულზე ნაღველი,—
მეც მომიგონე ნაცემი და ნაციმბირალი.

⁂

მანამდე კი უნდა ვთესო ფიქრი, დარდი მწარე,
ამოვიდეს, ესაუბროს უკრაინის ქარებს...
ყველა ფიქრებს შენ მოგიტანს ქარი ჩვენი ქვეყნის.
შენ მიიღებ ძმური ცრემლით, რასაც იგი გეტყვის;
წაიკითხავ.. ჩუმი დარდით
გაათენებ თეთრად,
მოიგონებ მთებს, კურგანებს
და მეც მასთან ერთად.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის
თარგმანი უკრაინულიდან.



ტარას შევჩენკო და აკაკი წერეთელი

გაზ. „დროებაში“ 1909 წლის 18 თებერვალს, მოთავსებულია ფრიად საინტერესო ცნობა აკაკი წერეთლის საღამოს შესახებ ხარკოვში. კორესპონდენციის ავტორი სხვათაშორის სწერს: „ბევრი, გულით ნამდვილი უკრაინელი გაახარა აკაკის განცხადებამ, რომ იგი იცნობდა შევჩენკოს, ბევრმა გადმომცა ეს“.

1911 წელს გაზეთმა „ზაკავკაზიემ“ 25 თებერვლის ნომერში № 45) გამოაქვეყნა შესანიშნავი დოკუმენტი—ორი დიდებული ადამიანის შეხვედრისა და მათი საუბრის შესახებ:—„შეხვდნენ ერთმანეთს მსოფლიო პოეზიის ერთერთი ბუმბერაზი, უკრაინის ხალხის გენიოსი შვილი, პოეტი-რევოლუციონერი, დემოკრატი და მგოსნის თაყვანისმცემელი — ქართული პოეზიის მომავალი იალბუზი—ახალგაზრდა აკაკი წერეთელი. შეხვედრა მოხდა ტარას შევჩენკოს უახლოესი მეგობრის—რუსეთის ცნობილი ისტორიკოსის პროფესორ ნ. ი. კოსტომაროვის ბინაზე“.

გადასახლებიდან დაბრუნებულ პოეტთან შეხვედრის პირველმა შთაბეჭდილებამ, აკაკი სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. მის წინაშე ტანჯვა-წვალებით წელში გატეხილი მოხუცი იდგა.

მასპინძელმა შეამჩნია შეშფოთება ახალგაზრდა აკაკის და დაუწყო მას ისეთი კითხვების მიცემა, „რომლებზედაც მე არაერთხელ პასუხი უკვე გამიცია“-ო. კითხვები შეეხებოდა ქრისტიანობის გავრცელებას საქართველოში, ამ მოვლენის დროის აღნუსხვას, მისი შემოღების პირობებს. საიდან იცით ყოველივე ეს — ზეპირგადმოცემით თუ წერილობითი მონაცემებიც არისო? — შეკითხვია პროფ. კოსტომაროვი.

— ცხადია, წერილობითო—უპასუხა აკაკიმ.

— მაშასადამე, თქვენ გაქვთ მწერლობა?—ჩარევია უცებ საუბარში შევჩენკო.—რომელი საუკუნიდან?

აკაკიმ მისცა პოეტს სათანადო განმარტება.

კოსტომაროვი კიდევ ახალ კითხვას აძლევს წერეთელს.

— XII საუკუნეში,—თამარ მეფის დროს,—თქვენი ლიტერატურა სავსებით გაფურჩქვნილი იყო?

აკაკი უხსნის ორივე მოსაუბრეს, რომ ქართული ლიტერატურა მანამდისაც იყო განვითარებული, მაგრამ მაშინ „გამოჩნდნენ მსოფლიო პოეტები რუსთაველი, შავთელი, ჩახრუხა და სხვანიო“.

— რატომ არავინ იცის ამის შესახებ?—ჩაერია ხელახლა შევჩენკო.

აკაკიმ განმარტა, რომ იმ განუწყვეტელი ომების გამო, რომელსაც მუსულმანობასთან ქართველები აწარმოებდნენ, უკანასკნელნი კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდნენ. იდეური ცხოვრებაც ასეთ კარჩაკეტილობას და მოწყვეტილობას განიცდიდა.

პროფ. კოსტომაროვმა ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რა გზით შეინარჩუნა ქართველმა ხალხმა,—საუკუნეთა განმავლობაში მტრების მიერ გარშემორტყმულმა,—თავისი სახელმწიფოებრიობა და ჩააბარა ის რუსეთს ხელშეკრულებით; პროფესორს უკვირდა, რატომ საქართველოში არ პარპაშობდა ინკვიზიცია, რატომ არ ჰქონდა ადგილი ისეთ მოვლენას, როცა ჯადოქრობაში ბრალდებულთ სწვავდნენ ათასობით სხვა ქრისტიანულ ქვეყნებში.

— ამაზე არ ღაღადებს არც ზეპირი გადმოცემა, არც ახალი კანონმდებლობა და არც ისტორია—განუმარტა ა. წერეთელმა.

— როგორ? განა თქვენ გქონდათ წერილობითი კანონები, ადათებს გარდა?—ეკითხება შევჩენკო.

როდესაც შევჩენკომ შეიტყო აკაკის პირით ქართული კანონმდებლობის ისტორია, „ამ ცნობამ ძლიერ გააოცა შევჩენკო, ის მოსიგდა ახლოს, ლაპარაკის მადაც მოუვიდა და დამიწყო ბევრ რამეზე კითხვაო“, იგონებს აკაკი.

ამის შემდეგ ლაპარაკი ჩამოვარდნილა უკრაინაზე, ენიაზე და სხვ. დიადი მოხუცი, რომელმაც თავისი საღი ჭკუით საქართველოსა და უკრაინის ისტორიული სვე-ბედის მსგავსება შენიშნა, აქ სრულიად გარდაიქმნა.

— ის ლაპარაკობდა მწუხარე, ნაღვლიანი ხმით, მაგრამ გაცხოველებულად და მე მასში ვერ ვიცანი წინანდელი მოხუციო,—შენიშნავს აკაკი.

„განვშორდით ჩვენ როგორც მეგობრები და მივეცით ერთმანეთს ხშირი შეხვედრის შეპირებაო, — ამბობს აკაკი—მაგრამ ვაი, ჩემს ბედნიერებას არ ეღირსა შესრულება. მე ავად გავხდი ტიფით და ლოგინში ვიწევი სამი თვე. ამ დროს ის უკვე წავიდა უკრაინაში და ამის შემდეგ მე არ მომიწია მასთან შეხვედრამ“.

დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ახალგაზრდა წერეთელზე ამ ისტორიულმა შეხვედრამ.

„მხოლოდ პირველი და უკანასკნელი შეხვედრა ჩარჩა ჩემს გულში ნათელ-სხივოსან მოგონებათ, მთელ ჩემ ცხოვრებაში. უნდა გამოვტყდე, რომ პირველად გავიგე მისი სიტყვებიდან—როგორ უნდა გიყვარდეს სამშობლო და შენი ხალხიო“—ასკვნის ქართველი პოეტი.

ტარას შევჩენკოს დაბადების 100 წლისთავზე თბილისში გამართულ უკრაინელთა საღამოზე (1914 წლის 15 აპრილს) დაესწრო მხცოვანი აკაკიც. მან აღგზნებული სიტყვაც წარმოსთქვა ამ საღამოზე. მან სიამოვნებით მოიგონა თავისი შეხვედრა მასწავლებელ - მეგობართან და მოუწოდა დამსწრე უკრაინელებს „შეიყვარონ თავისი სამშობლო და დედა-ენა ისე, როგორც იგი განსვენებულ შევჩენკოს უყვარდა, რადგანაც ეს მისთვის საუკეთესო ჯილდო და ხელთუქმნელი ძეგლი იქნებოდა“. მოხუცმა ქართველმა მგოსანმა ტარას შევჩენკოს ბიუსტთან მუხლმოდრეკით პატივი სცა უკვდავი პოეტის ხსოვნას.

„აკაკი წერეთლის სიტყვამ ხალხზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. სიტყვის შემდეგ ქართველი მგოსანი ტაშისცემით იქნა დაჯილდოვებულიო“ — მოგვითხრობს „სახალხო გაზეთი“ (№ 1162—1914 წ. 14 აპრილი).

ახლა გავარკვიოთ, როდის მოხდა ეს შეხვედრა, რომელმაც ასეთი ღრმა კვალი და შთაბეჭდილება დასტოვა ახალგაზრდა აკაკი წერეთელზე.

როგორც ცნობილია, ტარას შევჩენკო გადასახლებიდან განთავისუფლებულ იქნა 1857 წელს, მაგრამ იძულებული იყო დარჩენილიყო ხანგრძლივად ნიჟნი-ნოვგოროდში. შევჩენკო ჩავიდა პეტერბურგს მხოლოდ 1858 წლის 27 მარტს და დარჩა იქ 1859 წლის მაისის ბოლომდე. 1859 წ. ივნისის დასაწყისს (3 ივნისს) ის მიემგზავრება უკრაინაში, საიდანაც ბრუნდება 1859 წლის სექტემბერში. ამის შემდეგ შევჩენკო უკრაინაში აღარ წასულა.

შევჩენკოს უახლოესი მეგობარი—ნ. ი. კოსტომაროვიც დევნილი იყო მეფის მიერ. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ის მიიწვიეს პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიის კათედრაზე 1859 წლის აპრილში, ხოლო მისი ლექციები დაიწყო იმავე წლის ნოემბერში. აკაკიც მას გაეცნო და დაუახლოვდა 1859 წ. ნოემბრის შემდეგ.

აკაკი მივიდა პეტერბურგს არა უადრეს ივნისის შუა რიცხვებისა ე. ი. მაშინ, როცა ტ. შევჩენკო უკრაინაში იყო.

ცხადია, აკაკის შეხვედრა ტ. შევჩენკოსთან 1859 წ. არ უნდა მომხდარიყო.

აკაკისა და შევჩენკოს შეხვედრის თარიღში გავერკვევით, თუ გავიხსენებთ, რომ შევჩენკოსა და კოსტომაროვის მეგობრობა 1859-1860 წლებს ეკუთვნის.

1859 წლის შემოდგომაზე პეტერბურგში ჩამოყალიბდა უკრაინელთა „გრომადა“, რომელიც მშობლიური სიტყვის განვითარების ხელშეწყობას ისახავდა მიზნად. შევჩენკო და კოსტომაროვი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ამ „გრომადაში“ და 1859-60 წლის შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. სწორედ ამ დროის ბოლო პერიოდს უნდა მივაკუთვნოთ ტარას შევჩენკოს შეხვედრაც აკაკისთან კოსტომაროვის ბინაზე.

ვ. იმედაძე

ალ. სულავა

უკრაინელი ხალხის სიამაყე

დიდი რუსი ხალხის გენიალური პოეტის ალექსანდრე პუშკინის, ქართველი ხალხის გენიალური „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის შოთა რუსთაველის დიადი სახალხო იუბილეების შემდეგ—სოციალიზმის სამშობლო, მთელი ჩვენი საბჭოთა კავშირი, ხალხთა დიადი მეგობრობის ბედნიერი ქვეყანა ზეიმით აღნიშნავს საბჭოთა უკრაინის საამაყო და გენიალური შვილის, სახალხო პოეტ ტარას შევჩენკოს დაბადების 125 წლისთავს.

ტარას შევჩენკო უკრაინის ხალხის სიამაყეა, მისი მშვენება. იგი უკრაინის ხალხის პირმშო შვილია, მისი ლიტერატურის დიდება. მაგრამ შევჩენკო ისეთი ბრწყინვალე ფიგურაა, რომელიც ამშვენებს არა მარტო უკრაინის ხალხს, არამედ საბჭოთა კავშირის ხალხებს, რომელთაც წარსულში მეფის თვითმპყრობელობის პირობებში განუცდიათ უკრაინის ხალხის ბედი და წილად ხვდენიათ ბევრი ტანჯვა და წამება.

ტარას შევჩენკოს პოეზია უკრაინის ხალხის წარსული ტანჯვა-წამების განსახიერებაა, ამავე დროს მოწოდებაა ბრძოლისა და შურისძიებისაკენ. ტ. შევჩენკოს პოეზია ხალხის მწუხარებისა და მრისხანების პოეზიაა, ამიტომ იყო იგი გასაგები და მახლობელი ყველა იმ ხალხისათვის, ვინც მეფის დესპოტიზმის პირობებში დევნასა და შევიწროებას განიცდიდა, ამიტომ იდგა და სდგას ტ. შევჩენკოს სახელი ჩვენი ქვეყნის ბრწყინვალე მომავლისათვის მებრძოლთა გვერდით.

ტარას შევჩენკოს სახელს, შემოქმედებას, ცხოვრებას მუდამ ფეხქვეშ სთელავდნენ მეფის ათასგვარი დამქაშები, მაგრამ მის სახელს, პოეზიას და ბედს ესარჩლებოდა უკრაინის ხალხი, მისი მოწინავე ინტელიგენცია, რუსეთის ისეთი გამოჩენილი მოღვაწენი, როგორიც იყვნენ ბელინსკი, გერცენი, ჩერნიშევსკი, დობროლუბოვი. ტ. შევჩენკოს სახელს მოწიწებით იხსენიებდნენ ყოველთვის ჩვენშიც ჩვენი ქვეყნის მოწინავე მწერლები.

ტარას შევჩენკოს სახელს და მის შემოქმედებას სდევნიდნენ არა მარტო მის სიცოცხლეში, არამედ შემდეგაც. მეფის ხელისუფლებამ უკრაინის ხალხს 1914 წელსაც აუკრძალა ედღესასწაულნა ტ. შევჩენკოს დაბადების ასი წელი. მეფის შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ აკრძალულ იქნა ტ. შევჩენკოს ხსოვნის აღსანიშნავი ყოველგვარი საღამოები.

დიდი ლენინი, უკეთებდა რა ანალიზს მეფის ამ ღონისძიებას, აღნიშნავდა, თუ რა რიგი ითამაშა ხალხის შეგნების გარევოლუციონერების საქმეში ტ. შევჩენკოს ხსოვნის აკრძალვამ. ამ ღონისძიების შემდეგ მილიონები დარწმუნდნენ, რომ მეფის რუსეთი ნამდვილად არის ხალხთა საპყრობილეო, — სწერდა ლენინი.

ტ. შევჩენკოს პოეტური ძალა იმ თავითვე მკვეთრ რევოლუციურ ხასიათს ატარებდა, ამიტომაც არაა გასაკვირი, თუ რად გახდა მისი შემოქმედების პირველ მტრულ კლასობრივ შემფასებლად რუსეთის დიდი მემამულე—ყმების მფლობელი და დესპოტი მეფე ნიკოლოზ პირველი. იგი შევჩენკოს არა მარტო შემფასებელი იყო, არამედ მისი დამსჯელიც. რომ შევჩენკოს წერის უფლებაც არ ჰქონოდა, ჯალათ მეფეს შევჩენკოს გადასახლების განაჩენზე წაუწერია „უსასტიკესი მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნით, წერისა და ხატვის აკრძალვით“.

თავისი შემოქმედებით ტ. შევჩენკომ დაარღვია მაშინდელ ლიტერატურაში გაბატონებული აზრი უკრაინაზე, როგორც მშვენიერი ხალხისა და იდილიის ქვეყანაზე. მან პირველმა გამოხატა უკრაინა თავისი ნამდვილი ცხოვრებით. „შევჩენკოს მუზამ ჩამოხია ხალხის ცხოვრებაზე გადაფარებული საფარი და გამოჩნდა სურათი, რომელიც ჩემთვის ერთდაიმავე დროს საშინელი, თანაც მომხიბვლელი, მტკივნეული და თანაც წარმტაცი იყოო“—ამბობდა შევჩენკოს თანამედროვე ისტორიკოსი კოსტომაროვი, — ტარასის მუზამ უეცრად გახსნა რაღაც აკლდამა, რომელიც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ცხრა კლიტით იყო დაკეტილიო“.

ტ. შევჩენკო და მისი პოეზია სძულდათ მეფეს და ხალხის მტრებს, მაგრამ შევჩენკოს სიმღერები უყვარდა ხალხს. იგი ლირიკული პოეზიისა და სასიმღერო ლექსების უდიდესი ოსტატი იყო. შევჩენკოს „სიმღერები“ და „ფიქრები“ უკრაინის ხალხის გულის სიღრმიდან ამოტანილი ჰანგები იყო, ხალხის გონებიდან გამოტანილი ფიქრები, ამიტომ უყვარდა ხალხს ტ. შევჩენკო, ამიტომ გადადიოდა და ვრცელდებოდა მისი „სიმღერები“ ხალხში.

ტ. შევჩენკო უკრაინის უსაყვარლესი და უპოპულარესი სახალხო პოეტია. მის პოეზიას მსოფლიო რეზონანსი ჰქონდა. მის წიგნებს და შემოქმედებას შეფასებას აძლევდნენ საზღვარგარეთაც, მასზე სწერდნენ ბელინსკი, დობროლუბოვი.

ტ. შევჩენკოს 60-იან წლებში ჩვენში რომ იცნობდნენ, ამას ადასტურებს აკაკი წერეთლის, ნ. ნიკოლაძის, დ. ყიფიანის და სხვათა მოგონებები. ნ. ნიკოლაძეს თავის შესანიშნავ ნაწარმოებში „მოგონებანი სამოციან წლებზე“—აღწერილი აქვს ტ. შევჩენკოს ცხედართან შეხვედრის ამბავი. 18 წლის ნიკოლაძე, რომელიც იმ დროს პეტერბურგში მიემგზავრებოდა სასწავლებლად, ხარკოვის გზაზე შეხვედრია შევჩენკოს კუბოს. ნიკოლაძეს უკვე სცოდნია მაშინ შევჩენკოს სახელი. ეს კი იმას ამტკიცებს, თუ რაოდენ ცნობილი ყოფილა ჩვენში შევჩენკო.

პოეტის ასეთი პოპულარობა იმით აიხსნება, რომ იგი იყო ნაციონალურ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის მომღერალი, მისი ხმა სწვდებოდა უკრაინის ხალხის მსგავსად ცარიზმის მიერ ჩაგრულ სხვა ხალხებს. თუ რა მოწინავე და პროგრესიულად მოაზროვნე პიროვნებაა შევჩენკო, ამას ადასტურებს მისი ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი „კავკასი“.

გასაოცარი სიღრმით და გამბედაობით ამხელს მასში პოეტი კავკასიის დამპყრობელთა ძალადობას. იმ პერიოდში, როცა ეს ლექსი იწერებოდა და კავკასიის დაპყრობის შესახებ, ასე მხოლოდ მარქსი და ენგელსი აზროვნობდნენ.

„კავკასი“ უდიდესი პროტესტია კავკასიის ხალხთა ძალით დაპყრობის წინააღმდეგ, მასში დაგმობილია დესპოტიზმი, ნაციონალური ჩაგვრა და მის ნაცვლად ერთა სოლიდარობის იდეაა წამოყენებული. მაშინ, როცა ზოგიერთი რუსი პოეტი კავკასიის დაპყრობას ქებადიდებას უძღვნიდა, შევჩენკო მიმართავდა მთიულებს:

„თქვენ დიდება, არ დანებდეთ
მოძალადე სვავებს,
იბრძოლეთ და გაიმარჯვებთ
შორეულო ძმებო“.

ტ. შევჩენკოს ლექსები თავმოყრილია წიგნში, რომელსაც ეწოდება „კობზარი“. შევჩენკოს „კობზარი“ უკრაინის ხალხის უსაყვარლესი პოეტური საგანძურია. იგი თავისი ხალხურობით, ენის სისადავით ადვილად მისაწვდომია ხალხისთვისაც. ამიტომ ცდილობდნენ ბურჟუაზიული ნაციონალისტები „კობზარის“ ფალსიფიკაციას, რათა ის გაუგებარი გაეხადათ ხალხისათვის და, რაც მთავარია, მიემართათ მისი ტენდენცია საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ.

მაგრამ შევჩენკოს შემოქმედების გაყალბება შეუძლებელია, რადგან მასში ადგილი არა აქვს ორჭოფობას. იგი ყველგან და ყოველთვის ნათლად გამოხატავს თავის აზრებს, განსაკუთრებით, როცა მოუწოდებს მჩაგვრელების წინააღმდეგ საბრძოლველად, იგი ხაზს უსვამს, რომ ეს მჩაგვრელები არიან არა რუსები, არა პოლონელები საერთოდ, არამედ რუსი მეფე, მემამულეები, პოლონელი მემამულეები, შლიახები. ამის ბრწყინვალე ილუსტრაციას წარმოადგენს ტ. შევჩენკოს ლექსები „პოლონელებს“, „მეფეები“, „სიზმარი“, „ცოცხლებს და მკვდრებს“, „არქიმედი და გალილეი“, „ნევაზე“, „ო, ადამიანებო“ და სხვ.

განსაკუთრებით დამახასიათებელია მისი პოემა „სიზმარი“. ეს პოემა ნამდვილი პოლიტიკური პამფლეტია ცარიზმის წინააღმდეგ.

ამ ლექსისათვის დასაჯა ტ. შევჩენკო მეფის ხელისუფლებამ. „რა შემთხვევამ მიგიყვანათ თქვენ ისეთ თავხედობამდე, რომ იმპერატორის წინააღმდეგ დაგეწერათ ასეთი საძაგლობაო“,—ეკითხებოდნენ თურმე შევჩენკოს მეფის მოხელეები.

ტ. შევჩენკო დიდი ლირიკოსია. ელვარეა მისი ფერები ცხოვრების რეალისტური სურათების დახატვისას, იგი რეალისტ-სატირიკოსია.

ტარას შევჩენკოს წარსულშიაც კარგად იცნობდნენ ჩვენში, მაგრამ მისი ლექსები არადამაკმაყოფილებლად ითარგმნებოდა. ამჟამად საქართველოს საბჭოთა პოეტებმა დიდი სიყვარულითა და ერთგულებით სთარგმნეს ტარას შევჩენკოს „კობზარი“—უკრაინის ხალხის ეს „ვეფხის-ტყაოსანი“, რითაც ქართველ ხალხს საშუალება მისცეს გაიცნოს უკრაინის ხალხის დიდი პოეტის ტ. შევჩენკოს — უძვირფასესი პოეტური მემკვიდრეობა.

გერმანიის ახალი მოთხოვნები ჩეხოსლოვაკიის მიმართ

პარიზი, 17 ოქტომბერი (საკდესი). „პოპიულერის“ ცნობით ჰიტლერმა ჩეხოსლოვაკიის ახალი საზღვრების გარანტიის სანაზღაუროდ მოითხოვა დაპატიმრება და გაცემა ჩეხოსლოვაკიის პარლამენტის ყველა ანტიფაშისტი გერმანელი სენატორის და დეპუტატისა, აგრეთვე გერმანელთა დემოკრატიული პარტიების ყველა რწმუნებული პირისა ჩეხოსლოვაკიაში. ლაპარაკია გერმანელ სოციალ - დემოკრატებზე, კომუნისტებზე და სხვა დემოკრატიულ პარტიათა წევრებზე, რომელნიც მუშაობდნენ ჩეხოსლოვაკიის იმ რაიონებში, რომლებიც ამჟამად ოკუპირებულია გერმანიის მიერ. „პრაღაში,—ამბობს გაზეთი, — სადაც დაბნეულობა მეტად დიდია, არავითარ ილუზიებს არ ეძლევიან ჰიტლერის მოთხოვნების შემდგომ შედეგთა შესახებ და ჰფიქრობენ, რომ ჩეხოსლოვაკიის გერმანელი დემოკრატების შემდეგ დადგება ჯერი ოკუპირებული რაიონების იმ ჩეხი სოციალისტების, კომუნისტებისა და დემოკრატების, რომელნიც გაიქცნენ. ამტკიცებენ, რომ პრაღაში უკვე შექმნილია გესტაპოს ორგანოები. ამრიგად, ჰიტლერი ჩეხოსლოვაკიას ფაშისტურ კოლონიად ხდის. იტყვიან თუ არა რამეს ამის თაობაზე ჩემბერლენი და დალადიე?“.

ბერლინის აღმაშფოთებელი ინსტრუქციები ჩეხოსლოვაკიის მთავრობას

ბერლინი, 17 ოქტომბერი (საკდესი). გერმანიის პრესა ააშკარავებს ძირითად მითითებებს, რომლებიც ჩეხოსლოვაკიის ახალ მთავრობას მიეცა ჰიტლერთან ხვალკოვსკის უკანასკნელი მოლაპარაკების დროს. გერმანიის პრესა ასე განსაზღვრავს იმ ინსტრუქციებს, რომლებიც ხვალკოვსკიმ მიიღო მიუნხენში: პრაღაში უნდა იღებდნენ მხოლოდ ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ბოლოს მოუღებენ წინანდელ ანტიგერმანულ პოლიტიკას, რადგან მხოლოდ ასეთი გადაწყვეტილებანი შეიძლება მოწონებულ იქნან ბერლინში. ხვალკოვსკი მიუნხენში სასტიკად გააფრთხილეს, რომ მიღებულ გადაწყვეტილებებში უნდა იყოს სრული გარკვეულობა და რომ ანტიგერმანული ორიენტაციის ყოველგვარი ნიშანწყალი სრულიად უნდა მოისპოს.

ერთერთი გადაუდებელი ღონისძიება, რომლის განხორციელების შესახებ წინადადება მიეცა ხვალკოვსკის, - ეს არის ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოებრივი აპარატის გარდაქმნა იმგვარად, რომ ამ აპარატიდან განდევნილ იქნას ყველა დემოკრატიული ელემენტი. განადგურებულ უნდა იქნას ყველა ანტიფაშისტური ორგანიზაცია და პირველ რიგში პროლეტარული ორგანიზაციები ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის მეთაურობით. პრაღაში გამგზავრების წინ ხვალკოვსკის მიუნხენში კიდევ ერთხელ მოაგონეს, რომ პრაღას ჩასვლის შემდეგ მან ხელი უნდა მოჰკიდოს არა წვრილმანი ტექნიკური საკითხების დაყენებას, არამედ პირველ რიგში უნდა გადასჭრას სწორედ ეს უფრო დიდი ამოცანები, აგრეთვე მოახდინოს საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის და საფრანგეთ - ჩეხოსლოვაკიის ურთიერთდახმარების პაქტების ლიკვიდაცია. ხვალკოვსკის განცხადება იმის შესახებ, რომ იგი შეასრულებს თავის ახალ ბატონპატრონთა ყველა დავალებას, კმაყოფილებით მიღებულ იქნა ცნობად.

პრეზიდენტის არჩევნებისათვის მზადება ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა, 17 ოქტომბერი (საკდესი). დღეს შესდგა კოალიციური პარტიების წარმომადგენელთა ახალი თათბირი, რომელიც მიეძღვნა ახალი პრეზიდენტის არჩევნების საკითხს. ჰფიქრობენ, რომ არჩევნები შესდგება 12-14 დღის შემდეგ. თათბირი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ პრეზიდენტობის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს ორ მოთხოვნას: ჯერ ერთი, იგი უნდა იყოს სახალხო მეურნეობის მცოდნე, დიდი სამრეწველო მოღვაწე და, მეორე, იგი „კარგს დამოკიდებულებაში უნდა იყოს მეზობელ სახელმწიფოებთან“. კონკრეტული კანდიდატურები თათბირზე არ დაუსახელებიათ.

ამხანაგ კაშენის ღია წერილი დალადიესადმი

პარიზი, 17 ოქტომბერი (საკდესი). მარსელ კაშენმა „ლუმანიტეში“ გამოაქვეყნა ღია წერილი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დალადიესადმი. კაშენი მოაგონებს იმ ხმებს, რომელთა თანახმადაც დალადიე ინგლისის, გერმანიისა და იტალიის წარმომადგენლებთან ერთად აპირებს გაემგზავროს იტალიის ერთერთ ქალაქში ესპანეთის პრობლემის განსახილველად. ის გარემოება, რომ მთავრობა სდუმს ამის შესახებ, სწერს კაშენი, სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ფრანგთა შორის. ჰიტლერისა და მუსოლინის განზრახვები კარგად არის ცნობილი. მათ სურთ დაინაწილონ ესპანეთი ისე, როგორც ჩეხოსლოვაკია.

შემდეგ ამხ. კაშენი სწერს იმის შესახებ, რომ ფაშისტთა გამარჯვება ესპანეთში იქნებოდა საფრანგეთის ფაშისტური გარემოცვისა და ესპანეთში გერმანია-იტალიის ფაშისტთა ბატონობის მომასწავებელი. კაშენი მოითხოვს დალადიესაგან, რათა მან გამოააშკარაოს თავისი განზრახვანი.

ამერიკელი მოსამართლეების ზნე-ჩვეულებანი

ნიუ-იორკი, 17 ოქტომბერი (საკდესი). ამერიკული ჟურნალი „ფორტნაიტლი“ ათავსებს დიდ სტატიას ამერიკის შეერთებულ შტატებში მართლმსაჯულების შესახებ. ჟურნალი სწერს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში „კანონთა კრებულები კვლავ ძალაშია, მაგრამ მოსამართლენი თავის შეხედულებით ისე „ასხვაფერებენ“ სასჯელს, რომ სასამართლოს განაჩენები ანეგდოტად გადააქციეს“. ჟურნალს მოჰყავს მთელი სერია ასეთი ანეგდოტური სასჯელებისა.

მაგალითად, ილინოისის შტატში სახლის პატრონმა ქალმა ბრალი დასდო ერთერთ მდგმურს იმაში, რომ ის „უწესრიგობას ახდენს სახლში, მძინარი დგება, დადის და ლაპარაკობს, რითაც აწუხებს სხვა მდგმურებს“. მოსამართლემ ამ „მოუსვენარ“ მდგმურს მიუსაჯა ყოველ საღამოს ბუქნით სიარული 3-დან 5 მილ. მანძილამდე. სან-ფრანცისკოში (კალიფორნია) გამვლელმა პოლიციელს ქუდზე მოჰგლიჯა კოკარდა. მოსამართლემ ასეთი „ბოროტმოქმედების“ ჩამდენს მიუსაჯა, რათა მან სამი თვის განმავლობაში ქუდი მოუხადოს ყველა მოხელეს, რომელსაც კი გზაში შეხვდება.

ნიუ-ჯერსიში მოსამართლე გუდი არჩევდა საქმეს ქმრის მიერ თავისი ცოლისა და ბავშვების გალახვის შესახებ. მოსამართლემ გადასწყვიტა, დამნაშავე ამნაირადვე დაესაჯა. მან სასამართლოში გამოიწვია მთელი ოჯახი და მათი თანდასწრებით ისეთი სილა გააწნა დამნაშავეს, რომ იგი იქვე წაიქცა.

განსაკუთრებით დიდ „გამომგონებლობას“ იჩენენ მოსამართლენი სასჯელში საავტომობილო მოძრაობის წესების დარღვევისათვის. ქალაქ ჰამონდში (შტატი ინდიანა) ავტომობილის გაუფრთხილებელი წაყვანისათვის დაწესებულია შემდეგი სასჯელი: სამი უნცი საფაღარათო და ნახევარი დღე საპყრობილე.

საავტომობილო კატასტროფაში დამნაშავისთვის, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს ემუქრებოდა მოქალაქეების უშიშროებას, დაწესებულია კიდევ უფრო „სასტიკი სასჯელი“. მიჩიგანის შტატში ასეთ კატასტროფაში დამნაშავეს დამსხვრეული მანქანით აყენებენ მოედანზე, რათა ყველამ დაინახოს დამნაშავე. ქალაქ პორტლენდში (მენის შტატი) საავტომობილო კატასტროფების დამნაშავენი ვალდებულნი არიან გადმოიწერონ გრძელი სტატია ჟურნალიდან, სადაც აწერილია საშინელი, უბედური შემთხვევები.

მოკლე ცნობები

◆ გაზეთ „რაბოტნიკის“ ცნობით, 14 ოქტომბერს მოხდა ხელმოწერა პოლონეთ-ჩეხოსლოვაკიის დროებით შეთანხმებაზე ნახშირისა და რკინის გასაღების საკითხის შესახებ. ამ ხელშეკრულების საფუძველზე ტეშინის ქვანახშირისა და მეტალურგიულ მრეწველობას, რომელიც ჩეხოსლოვაკიას ჩამოართვა პოლონეთმა, საშუალება ეძლევა თავისი პროდუქცია გაიტანოს ჩეხოსლოვაკიაში.

○

◆ იტალიური გაზეთი „ჯუსტიცია ე ლიბერტა“ ასახელებს ერთ-ერთ მიზეზს, თუ რატომ გადასწყვიტა ასე მოულოდნელად მუსოლინიმ „იტალიელთა ჯარის ნაწილის“ გამოწვევა ესპანეთიდან. გაზეთის ცნობებით, დემორალიზაციამ იტალიის ფაშისტური არმიის რიგებში იმ დონეს მიაღწია, რომ დეზერტირობამ არმიიდან მასობრივი ხასიათი მიიღო.

მოკლე ხნის განმავლობაში მხოლოდ იმ დეზერტირების რაოდენობა, რომელთაც შესძლეს იტალია-საფრანგეთის საზღვარზე გადასვლა, 1500 კაცს აღემატება. ამ დეზერტირების მნიშვნელოვანი რაოდენობა იმყოფება საფრანგეთის სავოიის დეპარტამენტში და აგრეთვე ალპების მოსაზღვრე მეორე დეპარტამენტში—მარიტიმში.

იაპონია ცდილობს ფეხი მოიკიდოს ირანის ვაჭრობაში

თეირანი, 16 ოქტომბერი (საკდესი). იაპონელთა კონცერნები გაძლიერებით ცდილობენ გააფართოონ ვაჭრობა ირანთან და თავისი საქონლით ავსებენ ირანს, მაგრამ იაპონურ საქონელს გასავალი არ აქვს ირანის ბაზარზე. იაპონურ ქსოვილებს, რომლებიც არ არის გამძლე და მალე ხუნდება, ნაკლებად ეტანება მყიდველი. ამჟამად იაპონიის კონცერნების მიცუისა და მიცუბისის წარმომადგენლები თეირანში აწარმოებენ მოლაპარაკებას 15 ათასი ტონა ბამბისა და 3 ათასი ყუთი ოპიუმის შესყიდვის შესახებ იმ პირობით, თუ ირანში შეტანილი იქნება იაპონური ბამბის ქსოვილების დიდი რაოდენობა.

სლოვაკიის დაპყრობას ამზადებენ

პრაღა, 17 ოქტომბერი (საკდესი). როგორც ვენიდან იუწყებიან, იქ ეწყობა ეგრეთწოდებული „სლოვაკელთა ლეგიონი“. ლეგიონში აგროვებენ ავსტრიის ტერიტორიაზე მცხოვრებ სლოვაკ ფაშისტებს, „რომელნიც მზად არიან განაგრძონ ბრძოლა სლოვაკიის სრული დამოუკიდებლობისათვის“. ლეგიონი აგებული იქნება იმ პრინციპებზე, რომლებზედაც აგებულია ყბადაღებული „ავსტრიელთა“ და „სუდეტელ გერმანელთა“ ლეგიონები. ეს ცნობა გვიჩვენებს, რომ გერმანიის ფაშიზმი სლოვაკიის დასაპყრობად ემზადება.

სასტიკად უსწორდებიან ჩეხ მოსახლეობას

პრაღა, 17 ოქტომბერი (საკდესი). პოლონელთა ჯარის მიერ დაკავებულ ჩეხოსლოვაკიის რაიონებიდან მიღებული ცნობით, პოლონეთის ხელისუფლების ორგანოები კვლავ უსწორდებიან ჩეხ მოსახლეობას. ასობით ჩეხი ოჯახები აჰყარეს თავიანთი ადგილებიდან, ასობით ჩეხები დაპატიმრებული ჰყავთ, ბევრი სტოვებს მთელ თავის ქონებას და გარბის ჩეხოსლოვაკიაში. ერთი დღის განმავლობაში 16 ოქტომბერს მორავსკა ოსტრავაში 290 ლტოლვილი ოჯახი ჩავიდა.

ტეშინის რაიონის რკინიგზების მოსამსახურე ყველა ჩეხი პოლონელებით შესცვალეს; ჩეხ ექიმებს ფაქტიურად წაართვეს ყოველგვარი პრაქტიკა, პირველ რიგში საავადმყოფოებსა და სხვა სამკურნალო დაწესებულებებში. დახურულია ყველა სასწავლებელი.

მუშების მდგომარეობა გერმანიაში

პარიზი, 18 ოქტომბერი (საკდესი). ანტიფაშისტური ბიულეტენი „დეიჩე ინფორმაციონენი“ აქვეყნებს გერმანიიდან მიღებულ მთელ რიგ ცნობებს, რომელნიც მოწმობენ, რომ გერმანიის მუშათა მდგომარეობა კვლავ უარესდება. ბიულეტენი აღნიშნავს, რომ გერმანიის მუშათა ხელფასი უკანასკნელ პერიოდში სულ ცოტა 25 პროცენტით შემცირდა. ამავე დროს მნიშვნელოვნად გაიზარდა სამუშაო დღე. 12 საათის სამუშაო დღე ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იმყოფება სამხედრო სიმაგრეების მშენებლობაზე დაბანდებული რამდენიმე ასი ათასი მუშა. ბიულეტენის სიტყვით, ეს მუშები და მათი ოჯახის წევრები პირდაპირ შიმშილობენ.

ომის საწინააღმდეგო და ანტიფაშისტური განწყობილება საგრძნობლად გაიზარდა. ამ დღეებში ცვიკაუში ქვანახშირით დატვირთულ ბევრ ვაგონზე აღმოაჩინეს წარწერა: „ჩვენ არ გვინდა ომი, ძირს ფაშისტები!“ მიუხედავად ენერგიული ძებნისა, გესტაპომ ვერ შესძლო აღმოეჩინა წარწერის ავტორები.

გარდაიცვალა კარლ კაუტსკი

პარიზი 17 ოქტომბერი (საკდესი). ამსტერდამიდან იუწყებიან, რომ გარდაიცვალა კარლ კაუტსკი.

ესპანეთის ფრონტებზე

(საკდესის მიერ პარიზიდან მიღებული ცნობების მიხედვით)

აღმოსავლეთის ფრონტი

ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური ცნობის თანახმად, 16 ოქტომბერს ებროს ზონაში არავითარი არსებითი ოპერაცია არ სწარმოებულა.

რესპუბლიკის საზენიტო ბატარეებმა ჩამოაგდეს გერმანიის ერთი თვითმფრინავი „ჰაინკელი“, რომელიც რესპუბლიკელთა ხაზზე დაეცა. ორი დაჭრილი გერმანელი მფრინავი ტყვედ წამოიყვანეს.

სამხრეთის ფრონტი

ანდალუზიის ფრონტზე, პორკუნის სექტორში, მეამბოხეებმა რამდენიმე იერიში მიიტანეს რესპუბლიკელთა პოზიციებზე გრახოსა და მარტინ ალკაიდეს რაიონში. ეს იერიშები რესპუბლიკის ჯარმა წარმატებით მოიგერია.

აჭარის ფიზკულტურული ესტაფეტის მონაწილენი (მარცხნიდან მარჯვნივ): თ. იმნაიშვილი, მ. კვერენჩხილაძე, ს. ბარამიძე და ვ. ერქომაიშვილი (ქობულეთის რაიონი); მ. აბულაძე, თ. რიჟამაძე და ი. მელაძე (ხულოს რაიონი); დ. სოხაძე და ა. ცინცაძე (ქედის რაიონი).

ფოტო ი. იმედაძისა

ტ. შევჩენკოს რჩეული ნაწერები აფხაზურად

სოხუმი (საკ. კორ.). აფხაზეთის მწერალთა კავშირი შეუდგა მზადებას დიდი უკრაინელი მწერლის ტარას შევჩენკოს დაბადებიდან 125 წლისთავისათვის. შევჩენკოს სამშობლოს გაცნობის მიზნით მწერალთა კავშირმა უკრაინაში მიავლინა აფხაზეთის ორდენოსანი მწერალი დ. გულია, რომელიც ამ დღეებში დაბრუნდა უკრაინიდან. გულიამ მწერალთა კრებაზე გააკეთა მოხსენება უკრაინაში მიღებული შთაბეჭდილებების შესახებ, აგრეთვე გააცნო აფხაზ მწერლებს, თუ როგორ ემზადება უკრაინა თავისი ღირსეული შვილის იუბილეს აღსანიშნავად.

ტარას შევჩენკოს დაბადებიდან 125 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით აფხაზურ ენაზე გამოვა უკრაინელი პოეტის რჩეული ნაწერები. შევჩენკოს ნაწერებს აფხაზურად თარგმნის დიმიტრი გულია.

დირიჟორთა სრულიად-საკავშირო კონკურსის შედეგები

16 ოქტომბერს, გვიან საღამოს დირიჟორების პირველი სრულიად საკავშირო კონკურსის ჟიურიმ შეაჯამა მესამე ტურის შედეგები და გამოიტანა გადაწყვეტილება ლაურეატთა შორის პრემიების განაწილების შესახებ.

პირველი პრემია მიესაჯა ე. ა. მრავინსკის (ლენინგრადი), ორი შემდეგი პრემია — ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ა. შ. მელიქ-ფაშაევს (მოსკოვი) და ნ. გ. რახლინს (კიევი), მესამე — კ. კ. ივანოვს (მოსკოვი), მეხუთე — მ. ი. პავერმანს (დონის-როსტოვი). მეოთხე პრემია მიუსჯელი დარჩა.

ამას გარდა, ჟიურიმ საპატიო დიპლომები მიუსაჯა კონკურსის მეორე ტურის სამ მონაწილეს: კ. ი. ელიასბერგს (პირველი ხარისხის დიპლომი), კ. პ. კონდრაშინსა და მ. ნ. ჟუკოვს (მეორე ხარისხის დიპლომები).

გვიან ღამით ხელოვნების ოსტატთა მოსკოვის კლუბში შესდგა დირიჟორების საკავშირო კონკურსის ლაურეატთა შეხვედრა დედაქალაქის ხელოვნების მუშაკებთან. (საკდესი).

მოხსენება იოანე პეტრიწზე

21 ოქტომბერს, საღამოს 9 საათზე, თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-107 აუდიტორიაში შესდგება დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიის კათედრის საჯარო სხდომა. სხდომაზე პროფ. ს. ყაუხჩიშვილი წაიკითხავს მოხსენებას თემაზე „იოანე პეტრიწის სალიტერატურო წერილები“.

შესვლა თავისუფალია.

ფიზკულტურული ესტაფეტა აჭარაში

ბათუმი, (საკ. კორესპ.). 18 ოქტომბერს აჭარაში ჩატარდა აჭარის ფიზკულტურელთა ვარსკვლავისებური ესტაფეტა.

დილის 6 საათზე 21 ხულოელი და ქედელი კოლმეურნე დაიძრა ველოსიპედებით ბათუმისაკენ, 7 საათზე კი ქობულეთიდან გამოვიდა ფეხით 14 კომკავშირელი და ბათუმის რაიონიდან—12. ესტაფეტის ყველა მონაწილე 1 საათზე მივიდა ფინიშთან ბათუმში რევოლუციის მოედანზე. მათ პატაკი გადასცეს აჭარის კომკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელებს.

ესტაფეტის მონაწილეებმა, რომელთა შორის 7 გოგონა იყო, აჭარის კომკავშირის ხელმძღვანელობას უპატაკეს თავისი მიღწევების შესახებ ფიზკულტურის დარგში.

ეს პირველი ესტაფეტა, რომელიც მიეძღვნა ლენინურ-სტალინური კომკავშირის 20 წლისთავს, სამაგალითოდ ჩატარდა. აჭარის კომკავშირელებმა დაგვანახვეს თავიანთი მზადყოფნა შრომისა და თავდაცვისათვის.

ექიმთა ახალი კადრები

18 ოქტომბერს საქ. შინსახკომის კლუბში შესდგა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა გამოშვებისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. სხდომას დაესწრნენ ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები, კურსდამთავრებულები და სტუდენტები. სხდომა გახსნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, ინსტიტუტის დირექტორმა პროფ. ალ. მაჭავარიანმა.

მიესალმა რა ახლად კურსდამთავრებულ ექიმებს, პროფ. მაჭავარიანმა უსურვა მათ წარმატება პრაქტიკულ მუშაობაში.

საპატიო და საქმიანი პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ მოკლე საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე პროფ. ალ. ნათიშვილი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა 405 კაცმა, აქედან სამკურნალო ფაკულტეტი დაამთავრა 346 და პედიატრიული — 70 კაცმა. კურსდამთავრებულთა შორის სახელმწიფო გამოცდები ფრიადზე ჩააბარა 63 კაცმა.

პირველი კატეგორიის დიპლომები მიიღეს: მ. ჩეხოვამ, ელ. მირიანაშვილმა, კადირლი ფრიზამ, ე. ლუარსაბოვამ, ელ. დიდიამ, ელ. აბულაძემ, ვ. ბაბუხადიამ, მიხ. ნატროშვილმა, ს. ლობჟანიძემ, გ. ალადაშვილმა, მინა სეგალმა, ქ. ჯაშმა, ელ. ცინცაძემ და სხვ.

კურსდამთავრებულებს მიესალმნენ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და საქ. სახკომსაბჭოს სახელით საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი ამხ. მ. ჯაში, ჯანსახკომის სახელით ამხ. ონ. თოდაძე, ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა სახელით ორდენოსანი პროფესორი ნ. ყიფშიძე და საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი პროფ. ქ. ერისთავი. კურსდამთავრებულთა სახელით გამოვიდა ამხ. ს. ჩაკვეტაძე.

კურსდამთავრებულებს მიესალმა აგრეთვე მოსკოვის გაზეთ „მედიცინსკი რაბოტნიკის“ პასუხისმგებელი რედაქტორი ამხ. ლომოვა.

დასასრულ საზეიმო კრებამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს მშრომელთა დიდ ბელადს ამხანაგ **სტალინს** და მის საუკეთესო მოწაფეს ამხანაგ **ლ. ბერიას**.

საზეიმო საღამო დამთავრდა მხატვრული განყოფილებით, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტთა თვითმოქმედმა წრეებმა, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის, რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრების მსახიობებმა.

ფეხბურთი

შეჯიბრება სსრ კავშირის პირველობაზე

18 ოქტომბერს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში ჩატარდა ფრიად საინტერესო შეჯიბრებები ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობაზე.

მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელებმა მოსკოვში დაამარცხეს კიევის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელთა გუნდი, ანგარიშით 5:0.

○

ოდესაში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „დინამოს“ და ოდესის „დინამოს“ გუნდები. შეჯიბრება დამთავრდა მოსკოვის „დინამოს“ დამარცხებით, ანგარიშით 1:0.

○

ლენინგრადში ჩატარებული შეჯიბრება მოსკოვის „ტორპედოსა“ და ლენინგრადის „ელექტრიკის“ გუნდებს შორის დამთავრდა „ტორპედოელების“ გამარჯვებით—3:0.

○

კიევის „დინამოს“ და ხარკოვის „სპარტაკის“ გუნდების შეხვედრა კიევში დამთავრდა „დინამოელების“ გამარჯვებით, ანგარიშით 3:0.

○

ბაქოში ჩატარებული შეჯიბრება ლენინგრადის „დინამოს“ და ბაქოს „ტემპის“ გუნდებს შორის დამთავრდა ლენინგრადელების დამარცხებით, ანგარიშით 0:1.

ხელოვნება

„მწვანე ველი“

18 ოქტომბერს თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრმა 1938/39 წლის სეზონი გახსნა ბ. ბალაბანის პიესით „მწვანე ველი“. ეს პიესა მხატვრულად გადმოგვცემს ჩვენი ბედნიერი ახალგაზრდობის ცხოვრების ყველაზე საინტერესო მომენტს — სწავლას. ფრიადზე სწავლა — აი რა არის ახალგაზრდობის გმირობა და სიმამაცე. პიესაში ვალერიან და ვარლამ უგრეხელიძეების სახით დაპირისპირებული არიან ფრიადოსანი და სუსტად მოსწავლე ახალგაზრდები.

პიესის ავტორი გვიჩვენებს სუსტი მოწაფის გარდაქმნას მხატვრულ სახეებში, მაგრამ პიესის ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ დამაჯერებლად არ არის მოცემული ვარლამ და ვალერიან უგრეხელიძეების სახელების შეცვლა.

მოზარდ მაყურებელთა თეატრის რეპერტუარი უმთავრესად დრამატიული ჟანრის პიესებისაგან შესდგება. ამ მხრივ „მწვანე ველმა“, როგორც საბჭოთა საბავშვო კომედიამ, დიდი სიახლე შეიტანა თეატრის რეპერტუარში. ნორჩმა მაყურებელმა პიესა კარგად მიიღო. უნდა ითქვას, რომ ამხ. შ. ბუაჩიძეს პიესა დამაკმაყოფილებლად გადაუკეთებია. „მწვანე ველი“ ქართულ სინამდვილესთან არის მიახლოვებული.

პიესის დადგმა ეკუთვნის ახალგაზრდა რეჟისორს, გიორგი დარისპანაშვილს, რომელსაც მოხდენილად გამოუკვეთია თვალსაჩინო მიზანსცენა და მსახიობთა მოძრაობა. დამდგმელს სწორად აქვს გაგებული პიესის ძირითადი მიზანი და დანიშნულება. კომპოზიტორ ვ. შავერზაშვილს მუსიკა კარგად შეუხამებია პიესის მსვლელობასთან. განსაკუთრებით საყურადღებოა სპექტაკლის დასაწყისის და დასასრულის მუსიკალური ეტიუდები. სალამური კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს მაყურებელზე. მხატვარ დ. თავაძეს მოფიქრებულად გაუფორმებია სპექტაკლი. ეს ითქმის განსაკუთრებით მესამე და მეოთხე მოქმედების დეკორატიულ სახეებზე.

„მწვანე ველის“ დადგმა მსახიობთა თამაშის მხრივაც საყურადღებოა. მსახიობებს: ვ. ნინუას (ვალერიან უგრეხელიძე), ნ. მიქაშავიძეს (ვარლამ უგრეხელიძე) და თ. თვალიაშვილს (მზია) კარგად აქვთ დაძლეული როლები. საყურადღებოა აგრეთვე დანარჩენ მსახიობთა თამაშიც.

თეატრმა „მწვანე ველის“ დადგმით კარგი საქმე გააკეთა.

ქ. გოგიავა

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პარტგანათლების სახლში 20 ოქტომბერს:

საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი — ლექცია „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ II თავის მიხედვით: „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნა. პარტიის შიგნით ბოლშევიკებისა და მენშევიკების ფრაქციის გაჩენა (1901—1904 წლები)“. ქართულ ენაზე, ლექტორი ამხ. პ. ჯიბლაძე. დასაწყისი საღ. 8 საათზე.

აგიტაციის კაბინეტი — ლექცია: ეკლესია ფაშიზმის სამსახურში. რუსულ ენაზე, ლექტორი ამხ. ჟორჟიკაშვილი. დასაწყისი საღ. 8 საათზე.

ლენინიზმის კაბინეტი — ლექცია: ლენინიზმი მოძღვრება ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის შესახებ. ქართულ ენაზე, ლექტორი ამხ. სახაროვი. დასაწყისი საღ. 8 საათზე.

○

საქ. კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1522882, გაცემული ამავე რაიკომის მიერ ამხ. ქიჟიკო ბეგლარის-ძე შურღულაიას სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

ქვანახშირი და მარგანეცი

17 ოქტომბრისათვის

(ტონობით)

	გეგმა	შესრულება	%%
ტყიბული	1003	764	76,1
ტყვარჩელი	706	657	93
ჭიათურა	5530	4503	81,4

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახ. თეატრი 1938-39 წ. სეზონი.

20/X	21/X	22/X
მუდ. ადგ. ტალ. № 5	მუდ. ადგ. ტალ. № 6	მუდ. ადგ. ტალ. № 7
	აბონემ. ს. № 1	აბონემ. ს. № 2
აბესალომ და ეთერი	ევგენი ონეგინი	კარმენ

დასაწყისი 8 საათზე
აბონემენტების წარმოდგენები დაიწყება 21 ოქტომბრიდან.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი

20/X	ფიგაროს ქორწინება
21/X	შური
22/X	ნაპერწკლიდან

დასაწყისი 8 საათზე.
სალარო ღიაა დილის 12 საათიდან
საღამოს 9 საათამდე.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1938-39 წ. სეზონი

20/X	წარმოდგენა 28 უდანაშაულოდ დამნაშავენი კრუჩინინა—თ. ბაქრაძე, შმაგა—დ. მჟავია.
21/X	წარმოდგენა 29 სულელი
22/X	წარმოდგენა 30 უდანაშაულოდ დამნაშავენი კრუჩინინა—ნ. ჩხეიძე. შმაგა—ა. ვასაძე.

დასაწყისი 8 საათზე.
სალარო ღიაა დილის 12 საათიდან
საღამოს 9 საათამდე.

განსახკომის ნებართვით გაიხსნა:
1. ყველა ტიპის უმაღ. სასწ. შემსვლელთა **მოსამზადებელი კურსები**
2. საშ. სასწ. ატესტატის მისაღებად **საექსტერნო კურსები**
ქართული, რუსული და სომხური სექტორებით. მე-40 საშ. სკოლა, რიყის ქ. № 26, კ. მარქსის (ყოფ. ვორონცოვის) მოედნის ახლოს. საღ. 6—10 საათამდე.
19999 დირექცია.

სახოპერა
დამატებით გამოვიდა
აბონემენტების
2 სერია.
დაკვეთები მიიღება 26 ოქტომბრამდე. სალარო ღიაა 12—3 და 6—9 საათ. 3-2 40

ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრს
სასწრაფოდ სჭირდება 1905 წლის ეპოქის ტანისამოსი
სამოქალაქო, სამხედრო, ჟანდარმებისა და გოროდოვოების მუნდირები.
ცნობებისათვის მიმართეთ ადმინისტრატორს ამხ. ზუბალოვს საღ. 6-დან 10 საათამდე, აგრეთვე ტელეფონით 3-28-20. 21173

გურჯაანის რესპუბლიკური ავტოსატრაქტორო სკოლა აცხადებს
იმ პირთა საყურადღებოდ, რომლებიც ჩაიჭრნენ 1938 წ. 23 თებერვალს და 1 ივნისის გამოშვების დროს, რომ მათ შეუძლიათ გამოცხადდნენ ა. წ. 2 ნოემბრისათვის გამოცდების ჩასაბარებლად ავტოინსპექციის კომისიაზე გურჯაანში. ხარჯებს სკოლა არ აანაზღაურებს.
21133 სკოლის დირექტორი ბარბაქაძე.

თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის საბჭო აცხადებს,
რომ ა. წლის 24 ნოემბერს, დღის 1 საათზე, სოციალური ჰიგიენის აუდიტორიაში (ლუნაჩარსკის ქ. № 12) სამედიცინო ინსტიტუტის საბჭოს ღია სხდომაზე საჯაროდ დაიცავს დისერტაციას მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად — ბიოლოგიური ქიმიის კათედრის დოცენტი **ალექსანდრე სერგის-ძე აბულაძე** — თემაზე: „**ჰირუდინიზების მოქმედების მექანიზმები**“.
ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან: პროფ. ვ. ვორონინი, პროფ. ე. ზაქარაია და პროფ. ვ. ვარაზი.
ხოლო ა. წლის 28 ოქტომბერს, დღის 2 საათზე, სოციალური ჰიგიენის აუდიტორიაში (ლუნაჩარსკის ქუჩა № 12) სამედიცინო ინსტიტუტის საბჭოს ღია სხდომაზე საჯაროდ დაიცავს დისერტაციას მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად: ექიმი **ვ. ა. სიმონგულოვი**—თემაზე: „**კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის დიათერმიის მკურნალობის საკითხისათვის**“.
ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან: პროფ. ნ. ყიფშიძე და პროფ. ე. ზაქარაია.
მსურველებს შეუძლიათ შრომებს გაეცნონ სახ. სამედიცინო ინსტიტუტში სწავლულ მდივან დოც. **ვ. ანდღულაძესთან**. 1339

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1938 წლის 11 ნოემბერს, საღ. 8 საათზე, აუდ. № 86 პედაგოგიკურ მეცნიერებათა ხარისხის მოსაპოვებლად ფსიქოლოგიაში **ბ. ი. ხაჭაპურიძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე:
„**განწყობათა ურთიერთ შეცვლის პროცესების ბუნება**“.
ოფიციალური ოპონენტები: პროფ. **დ. უზნაძე** და პროფ. **ზ. თავზიშვილი**.
შრომის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.
თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო
1340 უნივერსიტეტის რექტორი **დ. ყიფშიძე**.

ქ. თბილისის კიროვის რაიონის 1 უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი **დ. ა. სვანიძე** ამით აცხადებს, რომ ა. წ. 22 ოქტომბერს, დღის 12 საათზე,
საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის
ქალაქ თბილისში, ჯვრის ჩიხი № 1, ალექსანდრე გელაშვილის კუთვნილ სახლს.
სახლს აქვს 5 ოთახი, სარდაფი, შერეული მშენებლობა და გაიყიდება შეძლეული ფასიდან „ინქმშენის“ პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად, თანახმად საქ. უმაღლესი სასამართლოს მიერ ა. წლის 4 იანვრის თარიღით გაცემული აღმასრულებელი ფურცლისა № 133 21170

ექიმი
მძინარიშვილი
ვენერიული, სიფილისი და კანის სნეულებანი. სქესობრივი, სისუსტე (ელექტრონით მკურნალობა), ქალთა და ბავშვთა გინეკოლოგია... ავადმყოფთა მიღება დილის 8—10 საათამდე, საღ. 7—9 ს. ქალების და ბავშვთა საღ 6—7 საათამდე, გრიბოედოვის ქ. № 20. ბინა 38. მე-4 შესავალი. მე-2 სართული
10-5 19577

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის თანამშრომლები იზიარებენ თანამშრომელ ლენტი გაბედავას მწუხარებას მისი მეუღლის
ნინო ნიკიფორის ასული ხუციშვილი-გაბედავას
გარდაცვალების გამო.
გასვენება შესდგება 20 ოქტომბერს საღამოს 5 საათზე, პუშკინის ქ. № 29.

მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა — 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების — 3—73—24, პ.-მგ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, კამოს ქ., № 68.

მთავლიტის რწმუნებული ბ—274